აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

სამართლის საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

20/04/2026 - 21/04/2026

04/06/2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... 5

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 11

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... 13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... 13

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 43

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 62

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 71

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 88

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ბერტელ დე გრუტე, პროფესორი, გენტის უნივერსიტეტი (ბელგია)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო მესხიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი; შპს საქართველოს უნივერსიტეტი; ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა კაველიძე, შპს ევროპული უნივერსიტეტი, პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, კორძაძის საადვოკატო ბიურო, ადვოკატი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, სამართლის დოქტორანტი, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად	სამართალი	ბიზნესის სამართალი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Law	Business Law
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი	კერძო სამართლის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 სამართალი	0421 სამართალი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია გადაწყვეტილება N1173236; 2020 წლის 8 დეკემბერი	აკრედიტებულია, გადაწყვეტილება N4; 2020 წლის 21 თებერვალი

[1]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**

სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიერ და შემუშავებულია საერთაშორისო პრაქტიკის, მარეგულირებელი მოთხოვნებისა და საქართველოში იურიდიული განათლების კონტექსტის გათვალისწინებით.

ორივე პროგრამაში ჩართული არიან აკადემიური პერსონალი და პრაქტიკოსები, მათ შორის იურისტები, მოსამართლეები და საერთაშორისო კომპანიებში დასაქმებული პროფესიონალები.

პროგრამები მოიცავს როგორც თეორიულ სწავლებას, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს. პრაქტიკული სწავლება ხორციელდება სამართლის კლინიკების (საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, კომერციული და სისხლის სამართლის) მეშვეობით, სადაც სტუდენტები რეალურ საქმეებზე მუშაობენ. სტაჟირება ორივე პროგრამის სავალდებულო კომპონენტია, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტსა და გარე ორგანიზაციებს შორის გაფორმებული შეთანხმებების ფარგლებში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტრუქტურირებულია უნივერსიტეტის უფრო ფართო მისიის მხარდასაჭერად, რომელიც დაკავშირებულია განათლებასთან, კვლევასა და სასწავლო გარემოს განვითარებასთან. პროგრამის მიზანია ანალიტიკური და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება და კურსდამთავრებულებისთვის სამართლის ზოგადი და დარგობრივი ცოდნის მიცემა. სასწავლო გეგმა მოიცავს სამართლის ძირითად დარგებს და ითვალისწინებს არჩევითი სპეციალიზაციის, საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და იმიტირებულ სასამართლო პროცესებში (moot court) მონაწილეობის შესაძლებლობებს. პროგრამა ასევე მოიცავს სამართლის ინგლისურის კურსებს და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, სწავლა სხვა დარგის დამატებით (Minor) პროგრამასთან დააკავშირონ.

პროგრამა აერთიანებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების ელემენტებს. სტუდენტები მონაწილეობენ სამართლის კლინიკებში, სტაჟირებებსა და კონკურსებში. წარმოდგენილი შედეგების მიხედვით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 89%-ს, ხოლო ნაწილი აგრძელებს სწავლას საერთაშორისო უნივერსიტეტებში.

საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა მონიტორინგისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებები ეხება სასწავლო გეგმის სტრუქტურას, სასწავლო კურსებს შორის კავშირებსა და შეფასების მიდგომებს. სწავლის შედეგების შეფასების განახლებები მოიცავს პროგრამის შედეგების შეფასებისთვის შესრულების ინდიკატორებისა და სამიზნე მაჩვენებლების დანერგვას.

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა შექმნილია ბიზნეს სამართალში სპეციალიზაციისთვის და სტრუქტურირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. იგი აერთიანებს თეორიულ სწავლებასა და პრაქტიკულ მომზადებას, მათ შორის ბიზნეს გარიგებების სიმულაციებს, იმიტირებულ სასამართლო პროცესებსა და მოლაპარაკებების სავარჯიშოებს.

პროგრამა მოიცავს არჩევით მიმართულებებს (ბიზნესის სამართლის პრაქტიკოსის მოდული და საგადასახადო სამართლის მოდული), რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, კონცენტრირდნენ კონკრეტულ სფეროებზე. პრაქტიკული სწავლება ხორციელდება კლინიკებისა და სტაჟირებების მეშვეობით. სასწავლო გეგმა მოიცავს ინტერდისციპლინურ კომპონენტებს, მათ შორის ბიზნესის სკოლის კურსებს, ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით.

პროგრამის საერთაშორისო კომპონენტია - თანამშრომლობა ვოშბერნის უნივერსიტეტთან, რაც სტუდენტთა შეზღუდულ რაოდენობას აძლევს შესაძლებლობას, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ისწავლონ საზღვარგარეთ, კრედიტების სრული აღიარებით. ამ მიმართულების კურსდამთავრებულები იღებენ ორივე დაწესებულების დიპლომს და უფლებამოსილნი არიან ჩააბარონ ნიუ-იორკის შტატის საადვოკატო გამოცდა.

სამაგისტრო პროგრამის შედეგები მოიცავს კურსდამთავრებულთა დასაქმების 96%-იან მაჩვენებელს და მათ დასაქმებას იურიდიულ, ფინანსურ და საჯარო სექტორის ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ სადოქტორო საფეხურზე.

საერთო ჯამში, ორივე პროგრამა აერთიანებს აკადემიურ სასწავლო კომპონენტებსა და პრაქტიკული მომზადების ელემენტებს, მოიცავს არჩევითი სპეციალიზაციის შესაძლებლობებს და ითვალისწინებს სასწავლო გეგმის პერიოდული გადახედვის მექანიზმებს, უკუკავშირისა და მონიტორინგის საფუძველზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სამართლის საბაკალავრო პროგრამისა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით, აკრედიტაციის ვიზიტი, ჩატარდა 2026 წლის 20–21 აპრილს. შეფასების ჯგუფს თავმჯდომარეობდა ბერტელ ჟერმენ დე გრუტე. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ნინო მესხიშვილი (დარგის ექსპერტი), ეკა კაველიძე (დარგის ექსპერტი), ნინო ბოგვერაძე (დარგის ექსპერტი), ნინო პატარაია (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) და ლიანა ზაგაშვილი (სტუდენტი ექსპერტი).

ვიზიტს ესწრებოდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) წარმომადგენლები ანა ჯავახიშვილი და ნინო სარჯველაძე.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ვიზიტი ასევე მოიცავდა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებას.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ყველა სტანდარტი დადებითად შეფასდა — შესაბამისად, ორივე პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამები „შესაბამისობაშია“ ყველა სტანდარტთან, გარდა 4.1 სტანდარტისა (ადამიანური რესურსები). აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამები შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“. აღნიშნული შეფასება ეხება ორივე წარმოდგენილ პროგრამას.

- **რეკომენდაციები**

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები

სტანდარტი 4.1:

- რეკომენდებულია, პერსონალის წევრთა რეზიუმეების ჰარმონიზაცია, გამჭვირვალობისა და მათი შედარებადობის მიზნით, ასევე, რეკომენდებულია, რომ რეზიუმეები (CV) ადამიანური რესურსების პოლიტიკის ღირებულ ინსტრუმენტად გარდაიქმნას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გადამოწმდეს CV-ები, კონკრეტული აკადემიური თანამდებობების დაკავებისა და შენარჩუნების მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

- **რჩევები**

კლასტერის რჩევები

სტანდარტი 4.1:

- სასურველია, შეფასდეს პერსონალის შემადგენლობა და საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდეს და განხორციელდეს პოლიტიკა უკეთ დაბალანსების მიზნით განსაკუთრებით, მოწვეული პერსონალის როლის, ასისტენტებისა და პოსტდოქტორანტების პოზიციის გათვალისწინებით.

სტანდარტი 4.3

- სასურველია, ინტერნაციონალიზაცია ინტეგრირდეს პროფესიული განვითარების სტრატეგიაში.

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სტანდარტი 2.2

- მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, პროგრამის კვლევითი კომპონენტის შემდგომი გაძლიერების მიზნით, სასურველია, სამართლის ფაკულტეტმა მხარი დაუჭიროს სტუდენტების კვლევითი ნაშრომების სპეციალურ ჟურნალში ან გამოცემაში გამოქვეყნებას. ეს კიდევ უფრო წაახალისებდა სტუდენტების კვლევით საქმიანობას, ხელს შეუწყობდა აკადემიური წერის უნარების განვითარებას და გაზრდის სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომების ხილვადობას.

სტანდარტი 4.2

- სასურველია, მკაცრად გაკონტროლდეს ხელმძღვანელებისა და სტუდენტების თანაფარდობა და შეფასდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ხარისხი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი), მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტებისა და/ან დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა; ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სქემა;

  პროგრამა 1 (ბაკალავრიატი, სამართალი)

  პროგრამაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 77-ს. აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 27, მათ შორის 7 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი და 6 ასისტენტ-პროფესორი. აფილირებული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 25, მათ შორის 7 აფილირებული პროფესორი, 12 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 6 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. საგანმანათლებლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 50-ს.

  პროგრამა 2 (LLM, ბიზნესის სამართალი)

პროგრამაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 22-ს. აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 7, მათ შორის 3 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი. აფილირებული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 5, მათ შორის 3 აფილირებული პროფესორი და 2 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა შეადგენს 20-ს. საგანმანათლებლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 15-ს. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა შეადგენს 42-ს.

- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები;[2] ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

პროგრამა 1 (ბაკალავრიატი, სამართალი)

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი ინდექსი შეადგენს 310-ს. მათ შორისაა 34 პუბლიკაცია ადგილობრივ ჟურნალებში და 56 პუბლიკაცია საერთაშორისო ჟურნალებში. გარდა ამისა, პერსონალმა წარმოადგინა 19 მოხსენება ადგილობრივ კონფერენციებზე და 31 მოხსენება საერთაშორისო კონფერენციებზე. სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები შეადგენს 170-ს.

პროგრამა 2 (LLM, ბიზნესის სამართალი)

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი ინდექსი შეადგენს 124-ს. მათ შორისაა 14 პუბლიკაცია ადგილობრივ ჟურნალებში და 3 პუბლიკაცია საერთაშორისო ჟურნალებში. გარდა ამისა, პერსონალმა წარმოადგინა 13 მოხსენება ადგილობრივ კონფერენციებზე და 9 მოხსენება საერთაშორისო კონფერენციებზე. სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები შეადგენს 85-ს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

არ არის მითითებული

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

[2]სადოქტორო პროგრამის კლასტერში დაჯგუფების შემთხვევაში, მიეთითება განცალკევებული ანალიზის სახით.

[3]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასებისას გამოიყენება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოთი დადგენილი მოთხოვნები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხილეთ ბმული)

უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო

აკრედიტაციის სტანდარტებისა და სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოს შესაბამისობა

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:
რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები -არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით: კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასება.

შეფასების მიდგომები:
კლასტერული შეფასება აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან, კლასტერის ზოგადი მახასიათებლების გათვალისწინებით.
ინდივიდუალური შეფასება: საჭიროებისამებრ, ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. პროგრამის ინდივიდუალური შეფასება აუცილებელია დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ასევე ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელზეც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

№	შინაარსი/ სტანდარტი	პროგრამა 1	პროგრამა 2
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები და მათთან**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**

	ინდივიდუალური მუშაობა		
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	არ არის მითითებული	შესაბამისობაშია
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსები	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	არ არის მითითებული	შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის /სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**
5,1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5,2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (შემდგომში – „უსდ“), რომელიც დაფუძნებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ცოდნის ფონდის“ მიერ. „ცოდნის ფონდის“ სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, მისი დამფუძნებელი, პარტნიორი ან დირექტორი უფლებამოსილია მხოლოდ განახორციელოს ფინანსური ან სხვა სახის შენატანი ფონდში და არ აქვს უფლება გამოიყენოს უსდ-ის ქონება ან შემოსავლები, ან მიიღოს ნებისმიერი სახის პირადი სარგებელი აღნიშნულიდან.

„ცოდნის ფონდის“ შემოსავლები და აქტივები სრულად მიიმართება განათლებისა და კვლევითი საქმიანობის განვითარებისკენ. შესაბამისად, უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი ბენეფიციარები არიან ცოდნის მიმღებები, კერძოდ, სტუდენტები.

უნივერსიტეტის დევიზია: „ცოდნა, შრომა, თავისუფლება.“

უსდ-ის ხედვის შესაბამისად, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამები ეფუძნება ლიბერალური განათლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სტუდენტებში შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, აგრეთვე, პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიაა საქართველოში სწავლის, სწავლების, კვლევისა და ახალი ცოდნის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა. ამავდროულად, მისია მიზნად ისახავს სტუდენტებს ჩამოუყალიბოს თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა გარემოში ორიენტირება და ადაპტირება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და იმ გამოწვევებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელთაც მათ თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო სთავაზობს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლას და სწავლებას ქართულ ენაზე, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენის, განვითარებას. მისიის შესაბამისად, უსდ ორიენტირებულია სტუდენტთა ინტერესებსა და მათ შემდგომ წარმატებაზე (იხ.:„თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა, 2024“).

უნივერსიტეტის სტრატეგია უზრუნველყოფს ინსტიტუციური მიზნების მიღწევას, რომლებიც გამომდინარეობს მისიიდან და ოპერაციული პრიორიტეტებიდან; აღნიშნული მიზნები რეალისტურია, დროში გაწერილია და შედეგების თვალსაზრისით, გაზომვადია. მიზნების ეფექტიანად მისაღწევად, უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმას.

სტრატეგიული მიმოხილვისა და გეგმის შესაბამისად, თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ყოველწლიურად

ახლდება. გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულებას და თითოეულ სფეროში განსაზღვრავს კონკრეტულ მიზნებს მომდევნო სამწლიანი პერიოდისთვის.

სამწლიანი სამოქმედო გეგმა ყოველწლიურ გადახედვას ექვემდებარება და ეფუძნება „მოძრავი“ დაგეგმვის პრინციპს. ყოველწლიურად უნივერსიტეტი აფასებს შესაბამისი წლისთვის განსაზღვრულ მიზნებს და შესაბამისად აახლებს სამოქმედო გეგმას. განახლებული გეგმა მომდევნო სამწლიან პერიოდს მოიცავს. სამოქმედო გეგმის შესრულება ყოველწლიურად ფასდება.

უნივერსიტეტის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია მის ოფიციალურ ვებგვერდზე. ამასთან, საჯაროდ ხელმისაწვდომია ინსტიტუციურ და აკადემიურ პროცესებთან დაკავშირებული ძირითადი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის წესდება, შრომის შინაგანაწესი, გამოცდებისა და შეფასების ადმინისტრირების წესი, სტუდენტის ეთიკის კოდექსი და სხვა შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები.

ორივე აკადემიური პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს, რაც დასტურდება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ მიღწეული შედეგებით. დოკუმენტის „სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი: სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა“ მიხედვით, სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა 89% და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა 96% დასაქმებულია. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში, ორივე პროგრამის კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ გამოკითხული ყველა კურსდამთავრებული ამჟამად დასაქმებულია.

ინდივიდუალური შეფასება - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1: „სამართლის საბაკალავრო პროგრამა“ (ბაკალავრიატის საფეხური)

უსდ-ის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ფუნქციონირებს 2011 წლიდან. პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის №265 გადაწყვეტილებით, ხოლო შემდგომ მეორედ მიენიჭა სრული აკრედიტაცია 2020 წლის 8 დეკემბრის №1173236 გადაწყვეტილებით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიას და წარმოადგენს მისი განხორციელების ერთ-ერთ ძირითად აკადემიურ მექანიზმს. კერძოდ, პროგრამა მიზნად ისახავს ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის, სწავლებისა და კვლევის ოპტიმალური გარემოს შექმნას, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას.

პროგრამის დოკუმენტი „სამართლის საბაკალავრო პროგრამა“ განსაზღვრავს შემდეგ მიზნებს:

- სტუდენტს მისცეს სამართლის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების, სამართლის ეროვნული სისტემის დეტალური სფეროების შესახებ და, აგრეთვე, საერთაშორისო სამართლის სისტემის ფართო და უახლეს ასპექტებზე დაფუძნებული ცოდნა;
- მოამზადოს იურისტები, რომლებსაც შეეძლებათ თეორიული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენებით, რთული და გაუთვალისწინებელი სამართლებრივი ამოცანების და პრობლემების დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით გადაჭრა;
- კურსდამთავრებულები იყვნენ მოთხოვნადი და წარმატებულები სამართლის სფეროში, განახორციელონ საკუთარი საქმიანობა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ სამართლის ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ კვლევის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სტანდარტული და უახლესი მეთოდების გამოყენებით;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ზოგადად, პროგრამა ავლენს თანმიმდევრულ შესაბამისობას დეკლარირებულ მიზნებსა და ინსტიტუციურ მისიას შორის, ცოდნის მიღებაზე, პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, ეთიკურ პროფესიონალიზმსა და აკადემიურ პროგრესზე მკაფიო ფოკუსირებით.

პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები იღებენ ფართო თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას სამართლის სხვადასხვა სფეროში. საბაზისო იურიდიული კურსების მეშვეობით, ისინი სწავლობენ სამართლის პრინციპებსა და მეთოდებს, ეცნობიან სამართლის ფილოსოფიის ძირითად კონცეფციებსა და თანამედროვე საკითხებს და სწავლობენ სამართლის წყაროების, მათ შორის ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, იდენტიფიცირებას.

სტუდენტები თავიანთი სპეციალიზაციის ფარგლებში ირჩევენ არჩევით სასწავლო კურსებს და ინტერესების შესაბამისად ამზადებენ საბაკალავრო ნაშრომს. ამასთან, „ცოდნის ფონდის“ დაფინანსებით, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო იმიტირებული სასამართლო პროცესების კონკურსებში (ნებაყოფლობითი კურსების არჩევითი მოდულის ფარგლებში).

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტები პრაქტიკულ უნარებს ავითარებენ სამართლის კლინიკებისა და იურიდიული პრაქტიკის კომპონენტების მეშვეობით. ისინი მუშაობენ რეალურ კლიენტთა საქმეებზე (live-client work), რაც დამატებით აძლიერებს მათ პრაქტიკულ კომპეტენციებს. პრაქტიკული სწავლების მიზნით, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებელთან.

გარდა ამისა, პროფესიული უნარების განვითარების მოდულის ფარგლებში, სტუდენტები იძენენ ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარებს ინგლისურ ენაზე „ინგლისური ენა იურისტებისთვის“ კურსების მეშვეობით.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ ბიზნესის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის კლინიკებში სტუდენტები ჯგუფურად მუშაობენ რეალურ საქმეებზე, პრაქტიკოსი იურისტების ზედამხედველობის ქვეშ.

ასევე აღსანიშნავია, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი დამატებითი სასწავლო პროგრამა და ძირითადი სპეციალობის პარალელურად დაეუფლონ დამატებით სპეციალობას.

პროგრამის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, მათ შორის ედინბურგის უნივერსიტეტში, კემბრიჯის უნივერსიტეტში, კალიფორნიის უნივერსიტეტში ბერკლიში, ბუცერიუსის სამართლის სკოლაში, გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (CEU), შანხაის Jiao Tong უნივერსიტეტში და სხვა. აღნიშნული ასევე დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს.

პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ მისი კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანი, წარმატებული და მოთხოვნადი პროფესიონალები სამართლის სფეროში. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში აკადემიური და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირებული კომბინაცია უზრუნველყოფს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას, პროგრამის მიზნების შესაბამისად. ეს, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს გამოირჩეოდნენ იურიდიულ პროფესიაში და, მათ შორის, მონათესავე დისციპლინებში მყარი ცოდნის დემონსტრირების გზით; წარმატებით ამოიცნონ და უპასუხონ შრომის ბაზრის როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო გამოწვევებს.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიასა და საერთო მიზნებთან. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები თანმიმდევრულად უკავშირდება პროგრამის სწავლის დაგეგმილ შედეგებს.

საბაკალავრო პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს, რაც დასტურდება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ მიღწეული შედეგებით. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ ვიზიტში მონაწილე სამართლის საბაკალავრო პროგრამის ყველა გამოკითხული კურსდამთავრებული ამჟამად დასაქმებულია.

ვინაიდან პროგრამის მიზნები ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს თანამედროვე პროფესიულ ტენდენციებს, პროგრამის კურსდამთავრებულები ფლობენ

ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულები თავიანთი პროფესიული საქმიანობით ხელს შეუწყობენ სამართლის სფეროს შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2: „ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა“ (მაგისტრატურის საფეხური)

უსდ-ის ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ფუნქციონირებს 2015 წლიდან. პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 3 თებერვლის №16 გადაწყვეტილებით, ხოლო შემდგომ, მეორედ მიენიჭა სრული აკრედიტაცია 2020 წლის 21 თებერვლის №4 გადაწყვეტილებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამაგისტრო პროგრამა სტრუქტურირებულია ექვსი მკაფიოდ განსაზღვრული მიზნის გარშემო. აღნიშნული მიზნები შესაბამისობაშია უსდ-ის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. ისინი მკაფიოდ არის ფორმულირებული, თანმიმდევრულია და ლოგიკურად უკავშირდება შესაბამის შესრულების ინდიკატორებს, რითაც უზრუნველყოფილია შიდა თანმიმდევრულობა მიზნებს, განხორციელების მექანიზმებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის.

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევით მოდულებს, რომელთა ფარგლებში მათ შეუძლიათ აირჩიონ ორი სპეციალიზაციის მიმართულებიდან ერთ-ერთი: ბიზნესის სამართლის პრაქტიკოსის მოდული ან საგადასახადო სამართლის მოდული.

ბიზნესის სამართლის პრაქტიკოსის მოდული სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ სიღრმისეული ცოდნა ბიზნესის სამართლის პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი ძირითადი მიმართულებების შესახებ, მათ შორის საარბიტრაჟო სამართლის, ფინანსური სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიმართულებით, რომლებიც ინგლისურ ენაზე ისწავლება. ამასთან, სტუდენტები აგრძელებენ პრაქტიკულ მომზადებას ბიზნესის სამართლის კლინიკა II-ის ფარგლებში, რაც დამატებით უწყობს ხელს მათ მომზადებას ბიზნესის სამართლის პრაქტიკოსის პროფესიული კარიერისთვის.

საგადასახადო სამართლის მოდული მოიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა ფინანსური ანგარიშგება, საგადასახადო აღრიცხვა, საგადასახადო სამართლის პრაქტიკული კურსი და საერთაშორისო საგადასახადო სამართალი. აღნიშნული მოდულის ფარგლებში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის (ESM) ლექტორები იურისტებისთვის სპეციალურად შემუშავებული ფინანსური აღრიცხვისა და საგადასახადო ანგარიშგების სპეციალიზებულ კურსს ასწავლიან.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს, დამსაქმებლებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს პროგრამის კურსდამთავრებულებში განვითარებულ კონკრეტულ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომელთა ჩამოყალიბებასაც უშუალოდ ზემოაღნიშნული მოდულები უწყობს ხელს. ასევე აღინიშნა, რომ სწორედ ამ მიზეზით დამსაქმებლები დასაქმების პროცესში უპირატესობას ანიჭებენ ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხედვა ხორციელდება საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმისა და დაგეგმილი სამომავლო ინიციატივების მეშვეობით. კერძოდ, პროგრამა აქტიურად თანამშრომლობს ვოშბერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (აშშ) გლობალური სამართლებრივი კვლევების LLM პროგრამასთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ვოშბერნის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის მაქსიმუმ ხუთ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ერთი წლის განმავლობაში ისწავლონ ვოშბერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვოშბერნის უნივერსიტეტში მიღებული კრედიტები აღიარებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ბიზნესის სამართლის მაგისტრის კვალიფიკაცია დამოუკიდებლად ენიჭება როგორც თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, ისე ვოშბერნის უნივერსიტეტის მიერ.

მემორანდუმის ფარგლებში, პროგრამის კურსდამთავრებულები უფლებამოსილნი არიან ჩააბარონ ნიუ-იორკის შტატის საადვოკატო გამოცდა.

პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს, რაც დასტურდება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ მიღწეული შედეგებით. დოკუმენტის „სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი: სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა“ საფუძველზე, აგრეთვე, ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, დადასტურდა, რომ ვიზიტში მონაწილე ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ყველა გამოკითხული კურსდამთავრებული ამჟამად დასაქმებულია.

პროგრამა ორიენტირებულია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანი პროფესიონალები ბიზნესის სამართლის სფეროში როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე; წვლილი შეიტანონ პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში; შეძლონ პასუხისმგებლობის აღება სხვათა საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე; და ფლობდნენ მყარ აკადემიურ საფუძველს სადოქტორო საფეხურზე

სწავლის გასაგრძელებლად საქართველოში ან საზღვარგარეთ, საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და სწავლის დაგეგმილი შედეგები, რომლებიც ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებულია. პროგრამების მიზნები შესაბამისობაშია უსდ-ის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან.

ვინაიდან პროგრამების მიზნები ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, პროგრამების კურსდამთავრებულები ფლობენ შესაბამის სტანდარტებთან შესაბამის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს და კონკურენტუნარიანები არიან პროფესიულ გარემოში. შესაბამისად, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები თავიანთი პროფესიული საქმიანობით ხელს შეუწყობენ შესაბამისი სფეროს შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

მტკიცებულებები / ინდიკატორები

- „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა, 2024“).
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის ანგარიში (01.08.2024 – 31.07.2025)
- „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წესდება (თბილისი 2024)
- თვითშეფასების ანგარიში
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- შრომის ბაზრის კვლევა – სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, 2025
- სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი: სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- კურიკულუმი – სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა
- კურიკულუმი – კერძო სამართლის მაგისტრი (2026–2028)
- ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- ურთიერთგაგების მემორანდუმი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს გამართული შეხვედრები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცია(ები):** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები):** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	-	-
პროგრამა 1 – (სამართალი, ბაკალავრიატი)	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**
პროგრამა 2 – (ბიზნესის სამართალი, მაგისტრატურა)	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**

შეფასება[1]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი **1.1 - პროგრამის მიზნები**	შესაბამისობაშია
პროგრამა 1 – (სამართალი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 – (ბიზნესის სამართალი, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების მაჩვენებლები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სადოქტორო პროგრამის მაჩვენებლები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 საფეხურის კლასიფიკატორს;

- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე აქვთ სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით-კვლევითი მნიშვნელობა, ისინი არის ინოვაციური და აქვთ პრაქტიკული/თეორიული ღირებულება.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებმა განვითარების ყველა ეტაპზე განიცადა უწყვეტი ტექნიკური და შინაარსობრივი მოდიფიკაცია, პროგრამების დახვეწისა და დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

პროგრამების გაუმჯობესების პროცესში მუდმივად იყვნენ ჩართულნი აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები, ადმინისტრაციული პერსონალი და ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, რომლებიც სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ სწავლებისა და კვლევის პროცესებში.

აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა პროგრამების პერსონალის (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის), სტუდენტებისა და დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამების ფორმირების, მოდიფიცირებისა და პერიოდული გადახედვის პროცესებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სწავლების მოდელი შემუშავებულია თანამედროვე უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიის საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად (იხ.: John Biggs, *Aligning Teaching for Constructing Learning* – https://www.advance-he.ac.uk/knowledgehub/aligning-teaching-constructing-learning).

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად შემუშავებულია სტრუქტურირებული სასწავლო კომპონენტები/კურსები. თითოეული კურსის სილაბუსი მკაფიოდ განსაზღვრავს მის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული შედეგისთვის იდენტიფიცირებულია შესაბამისი შეფასების მეთოდები. შერჩეული შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს ისეთი შეფასების ტექნიკების გამოყენებას, რომლებიც რელევანტური და ადეკვატურია კონკრეტული კურსის სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად.

ინტერვიუებმა დამატებით დაადასტურა, რომ კურსის სწავლის შედეგების ფორმულირება ხორციელდება კურსის ლექტორის, დეკანის/პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური განვითარების ვიცე-რექტორის ერთობლივი თანამშრომლობით.

ინდივიდუალური შეფასება - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა .

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1: „სამართლის საბაკალავრო პროგრამა“ (ბაკალავრიატის დონე)

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია შესაბამისი დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები სტრუქტურირებულია 15 განსაზღვრული შედეგის გარშემო, რომელთა შესაბამისად კურსდამთავრებულს შეუძლია სამართლებრივი საკითხების იდენტიფიცირება, ცოდნა, გაგება, მოძიება, კვლევა, ანალიზი და შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტების შემუშავება, ასევე, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და ეთიკური და პროფესიული საქმიანობის სტანდარტების დაცვით მოქმედება.

კურსდამთავრებულს გააჩნია ეფექტიანი პროფესიული კომუნიკაციის უნარები როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი ფორმით. გარდა ამისა, კურსდამთავრებული ავლენს პირადი ცოდნისა და უნარების უწყვეტი განვითარების უნარს და შეუძლია ინდივიდუალური და გუნდური საქმიანობის მართვა, რომელიც ორიენტირებულია პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე, ინდივიდუალური და კოლაბორაციული მუშაობის პრინციპების შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა განსაზღვრავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ კურსებს შორის. მაგალითად, კურსის „სახელშეკრულებო სამართალი“ დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული იძენს ცოდნას კერძო სამართლის სისტემის, ასევე, სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური ცნებებისა და პრინციპების შესახებ.

კურსდამთავრებულს შეუძლია რთული და გაუთვალისწინებელი სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება; სამართლებრივი საკითხებისა და დავების შესაძლო გადაწყვეტების განსაზღვრა; და სტანდარტული და/ან მოწინავე მეთოდოლოგიების გამოყენებით რაციონალური და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება. კურსდამთავრებული ეძებს, იკვლევს, აანალიზებს და იყენებს შესაბამის სამეცნიერო, ნორმატიულ და სასამართლო პრაქტიკის წყაროებსა და მეთოდებს.

გარდა ამისა, კურსდამთავრებულს შეუძლია მოამზადოს ისეთი სამართლებრივი დოკუმენტები, როგორიცაა სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამართლის გამოყენების აქტები, საპროცესო დოკუმენტები და ინდივიდუალური და

ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტები. ამასთან, კურსდამთავრებული მუშაობს კვლევით და პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროექტებზე, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დოკუმენტაციაში განსაზღვრული თხუთმეტივე სწავლის შედეგი სრულყოფილად აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელთა მიღწევაც სტუდენტებისგან პროგრამის დასრულების შემდეგ არის მოსალოდნელი.

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2: „ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა“ (მაგისტრატურის დონე)

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან. პროგრამა ორიენტირებულია 12 განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევაზე. ეს შედეგები ფორმულირებულია ლოგიკურად და თითოეული მათგანი ასახულია შესაბამისი მოდულებისა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებში.

კურსების უმრავლესობის შინაარსი და სპეციფიკა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიცემას და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. „ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკის“ მიხედვით, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომი ხელს უწყობს 12 სწავლის შედეგიდან 7-ის მიღწევას, ხოლო ბიზნეს ტრანზაქციების პრაქტიკუმი (სიმულაცია) – 6 სწავლის შედეგის მიღწევას.

მაგალითისთვის, კურსი „გარიგებები“ (Business Transactions), რომელიც 7 სწავლის შედეგს უკავშირდება, კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ აძლევს შესაძლებლობას ზედამხედველობა გაუწიოს და მართოს სხვა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა საქმიანობა და იმუშაოს ინტერდისციპლინურ გუნდებში. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია საკუთარი იდეებისა და მიდგომების პროფესიული აუდიტორიისთვის წარდგენა და მათ შესახებ ეფექტიანი კომუნიკაცია, სხვა კომპეტენციებთან ერთად.

პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებულია სამართლის დისციპლინური მახასიათებლების შესაბამისად. დეკლარირებული შედეგები არის კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადი. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა მკაფიოდ განსაზღვრავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ კურსებს შორის.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილი 12-ვე სწავლის შედეგი სრულყოფილად აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელთა მიღწევაც სტუდენტებისგან პროგრამის დასრულების შემდეგ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული სტრუქტურირებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო) სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამების მიზნებთან და ლოგიკურად უკავშირდება მათ, აგრეთვე სწავლის სფეროს სპეციფიკასა და იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები პროგრამების დასრულების შემდეგ იძენენ.

მტკიცებულებები / ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი: სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- კურიკულუმი – სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა
- კურიკულუმი – კერძო სამართლის მაგისტრი (2026–2028)
- ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა
- სემესტრული გეგმა – კერძო სამართლის მაგისტრი, საგადასახადო სამართლის მოდული (2026–2028)
- კურსების სილაბუსები
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები
- John Biggs: *Aligning Teaching for Constructing Learning* – https://www.advance-he.ac.uk/knowledgehub/aligning-teaching-constructing-learning
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს გამართული შეხვედრები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცია(ები):** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევ(ები):** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 – (სამართალი, ბაკალავრიატი)	**არ არის მითითებული**	**არ არის მითითებული**

პროგრამა 2 – (ბიზნესის სამართალი, მაგისტრატურა)	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

შეფასება:

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:**	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართალი, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართალი, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

➢პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს.

➢პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

სწავლის შედეგების შემუშავება და გაუმჯობესება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც შედგება პროგრამის ხელმძღვანელის, დეკანის, კოორდინატორის, აკადემიური განვითარების ვიცე-რექტორის, აკადემიური პროცესის მართვის ვიცე-რექტორის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მიერ. ეს პროცესი უწყვეტ ხასიათს ატარებს.

კურსის დონეზე სწავლის შედეგების ფორმულირება ხორციელდება კურსის ლექტორის, დეკანის/პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური განვითარების ვიცე-რექტორის ერთობლივი თანამშრომლობით.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება გამჭვირვალე კრიტერიუმებზე დაფუძნებული პროცედურის მეშვეობით, რომელიც პროგრამის თითოეული აკადემიური კომპონენტის სილაბუსში ასახული შეფასების სისტემით არის უზრუნველყოფილი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ კურსის სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვა ხორციელდება ლექტორის, დეკანის/პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური განვითარების ვიცე-რექტორისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის ერთობლივი მონაწილეობით.

დოკუმენტის „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შეფასების სისტემა მოიცავს თითოეული კომპონენტის დეტალურ რუბრიკებს, აგრეთვე, ამ რუბრიკებთან შესაბამისობაში განსაზღვრულ ქულათა განაწილებას.

უნივერსიტეტში ცოდნის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: წერითი გამოცდები, ზეპირი გამოცდები, პროექტების პრეზენტაციები, დავალებების წარდგენა, ესეები, ანგარიშები, სასემინარო აქტივობები, საშინაო დავალებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოები და სხვა. აღსანიშნავია, რომ გამოცდების უმრავლესობა ტარდება წერილობით ფორმატში, საგამოცდო ცენტრში.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს საგამოცდო ცენტრი. ცენტრი აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, საგამოცდო ცენტრში შეზღუდულია ინტერნეტთან წვდომა და დაბლოკილია მობილური ქსელით სარგებლობის შესაძლებლობა. გამოცდების მიმდინარეობისას, ადგილზე იმყოფება რამდენიმე თანამშრომელი/ზედამხედველი. წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული ზომები მნიშვნელოვნად ამცირებს პლაგიატისა და აკადემიური არაკეთილსინდისიერების რისკს და უზრუნველყოფს სტუდენტთა ცოდნის ობიექტურად შეფასებას..

დოკუმენტი „გამოცდებისა და შეფასების ადმინისტრირების წესები, 2025“ დეტალურად აღწერს გამოცდებისა და შეფასების პროცედურებს, რომელთა მიზანია შეფასების პროცესის

ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ასევე ხაზგასმულია, რომ დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს შეფასების პროცესთან დაკავშირებულ აკადემიურ აკრძალვებს, რომლებიც უშუალოდ მიმართულია არა მხოლოდ სტუდენტთა ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებისკენ, არამედ მათი ცოდნის გამოყენების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აგრეთვე, აღწერითი და შეფასებითი კომპეტენციების შეფასებისკენ. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, აძლიერებს შეფასების პროცესის ობიექტურობას, სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.

წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ მიღწეული სწავლის შედეგების გასაზომად გამოყენებული შეფასების ფორმებისა და ტექნიკების მონიტორინგი ხორციელდება როგორც სტუდენტური გამოკითხვების, ასევე, სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული შეფასებების მონიტორინგის გზით. კერძოდ, ქულების სიმეტრიული ან ასიმეტრიული განაწილების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს ლექტორების მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდებისა და ტექნიკების რელევანტურობა.

ადგილზე ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ როდესაც მონიტორინგის შედეგები მიუთითებს ნორმალური ქულობრივი განაწილებიდან გადახრებზე, კურსის შეფასების სისტემა ლექტორთან ერთად ერთობლივად განიხილება. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა ასევე დაადასტურა, რომ თუ ასეთი ანალიზის შედეგად დადგინდება, რომ გადახრები გამოწვეულია შეფასების სისტემის ხარვეზებით, ლექტორი შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (მათ შორის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიური განვითარების ვიცე-რექტორთან, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან) ახორციელებს შეფასების სისტემის დახვეწას.

კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირის განსაზღვრის მიზნით შემუშავებულია სასწავლო გეგმის რუკა. ეს რუკა შესაძლებელს ხდის იმ კურსების იდენტიფიცირებას, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას. თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების მეთოდების განხორციელებისთვის

შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ეს გეგმა ეფუძნება სასწავლო გეგმის რუკაში ასახულ მონაცემებს და განსაზღვრავს სამიზნე ნიშნულებს თითოეული სწავლის შედეგის შესრულების ინდიკატორისთვის (PI) .

სილაბუსების ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის შესრულების ინდიკატორები შემუშავებულია სილაბუსებში განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით. პროგრამის სწავლის შედეგების შესრულების ინდიკატორების გაზომვა ხორციელდება თითოეული კურსის სილაბუსის საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა. ამ სისტემის მეშვეობით ლექტორი განსაზღვრავს ცოდნის შეფასების ფორმებს და ზომავს კურსის დონეზე სწავლის შედეგების მიღწევას.

აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა პროგრამის პერსონალის, განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის, ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და გადახედვის პროცესებში.

სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი არაპირდაპირი მეთოდი — სტუდენტური გამოკითხვები — სისტემატურად ტარდება სემესტრის განმავლობაში SurveyMonkey-ის პლატფორმის გამოყენებით. ეს ანონიმური შეფასებები მოიცავს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, კურსებს, სკოლის ადმინისტრაციას, აგრეთვე, სწავლებისა და სწავლის პროცესთან დაკავშირებულ ყველა სხვა ასპექტს. რაოდენობრივი გამოკითხვები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ტექნიკურ, ისე შინაარსობრივ განზომილებებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა ასევე დაადასტურა, რომ კითხვარების დამუშავების შემდეგ შედეგები ანალიზდება და გამოიყენება დაგეგმვისა და სილაბუსების გადასინჯვის მიზნით. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმაც ინტერვიუების დროს აღნიშნა, რომ ისინი შესაბამისი საუნივერსიტეტო სტრუქტურებისგან იღებენ უკუკავშირს და მას ითვალისწინებენ მომდევნო სემესტრების დაგეგმვის პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე აშკარაა, რომ სწავლის შედეგების შეფასების შედეგების ანალიზის მეშვეობით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია შეაფასოს სწავლების მეთოდები, მიდგომები, კურსის შინაარსი და შეფასების სისტემები. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზსა და

გაზომვას და საჭიროების შემთხვევაში განაპირობებს პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგების, შეფასების სისტემებისა და/ან რესურსების განახლებასა და განვითარებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ ხშირად ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რაც ასევე დაადასტურეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა ინტერვიუების პროცესში.

აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს დროს, ერთ-ერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა შეფასებების საფუძველზე გამოიკვეთა სტუდენტების მოთხოვნა უფრო ძლიერი პრაქტიკული კომპონენტის, მათ შორის ქეისებზე დაფუძნებული სწავლებისა და სიმულაციური სავარჯიშოების გაზრდის შესახებ. აღნიშნული უკუკავშირი ადმინისტრაციას ინდივიდუალური განხილვების გზით გაუზიარეს და შემდგომ, ლექტორმა გაითვალისწინა კურსის სწავლების გადახედვის პროცესში.

დამსაქმებლებმა, ინტერვიუების დროს, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი მათთან აქტიურ კომუნიკაციას ინარჩუნებს კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი უნარებისა და კომპეტენციების, მათ მიერ შესასრულებელი ამოცანებისა და პრაქტიკაში მიღებული ცოდნის გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა კომპეტენციებთან დაკავშირებული საჭიროებებისა და მოლოდინების იდენტიფიცირებას, მათ შორის პრაქტიკული საქმიანობის, გამოწვევებზე რეაგირებისა და ინტერპერსონალური უნარების მიმართულებით.

უკუკავშირის მექანიზმი უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს შეაფასოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

დოკუმენტის „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების“ და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის, აგრეთვე სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით მიღებული მონაცემების ანალიზის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და გაუმჯობესება ხორციელდება სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ.

აღნიშნული ჯგუფი შედგება დეკანისგან, პროგრამის ხელმძღვანელისგან, კოორდინატორისგან, აკადემიური განვითარების ვიცე-რექტორისგან, აკადემიური პროცესის მართვის ვიცე-რექტორისგან, რექტორისგან, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერისგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისგან, სტუდენტთა დეკანისგან და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისგან. ჯგუფი ასევე პასუხისმგებელია ხარვეზების იდენტიფიცირებასა და მათი აღმოფხვრის ვადებისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრაზე.

ინდივიდუალური შეფასება - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: სამართლის საბაკალავრო პროგრამა (საბაკალავრო დონე)

სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია როგორც პროგრამის სწავლის შედეგებისთვის, ასევე, თითოეული შესრულების ინდიკატორისთვის (PI). კერძოდ, თითოეული შესრულების ინდიკატორისთვის დადგენილია კონკრეტული სამიზნე დონეები, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეგროვებული მონაცემების შედარებითი ანალიზი, განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით. ეს ხელს უწყობს როგორც თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას, ასევე, მისი ცალკეულ კურსებთან კავშირის დეტალურ შეფასებას.

სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა განსაზღვრულია "სწავლის შედეგების შეფასების გეგმით". ამასთან, შეფასების პროცესი ტარდება პროგრამით განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, ეფექტიანობის ინდიკატორების გამოყენებით. დოკუმენტი „ბაკალავრის პროგრამის სწავლის შედეგები / სამიზნე მაჩვენებლები " განსაზღვრავს სამიზნე მაჩვენებლებს და სწავლის შედეგებს, განსაზღვრავს შეფასების პროცესში ჩართულ უსდ-ს პასუხისმგებელ წარმომადგენლებს და განსაზღვრავს შეფასების ვადებს. მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგი (შედეგი 5) აცხადებს, რომ კურსდამთავრებულს „აქვს ცოდნა კერძო სამართლის სისტემის, ასევე, სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური

კონცეფციებისა და პრინციპების შესახებ“. ეს შედეგი პროგრამის კოორდინატორის მიერ ფასდება მეორე სემესტრის ბოლოს კურსის „სამოქალაქო სამართლის შესავალი “ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის “სწავლის შედეგების შეფასების გეგმა” შემუშავებულია სასწავლო გეგმის რუკის გათვალისწინებით და მოიცავს 39 შესრულების ინდიკატორს (PI), რომლებიც პროგრამის 15 სწავლის შედეგისთვის არის განსაზღვრული.

დოკუმენტის „სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“ მიხედვით, შეფასების გეგმა 2026–2030 წლებს მოიცავს. მისი განხორციელება იგეგმება 2029–2030 სასწავლო წლის ბოლოს, მას შემდეგ, რაც სტუდენტები დაამთავრებენ განახლებულ პროგრამას. ეს შესაძლებელს გახდის შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა (სამაგისტრო დონე)

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებისა და შესაბამისი შეფასების ინდიკატორებისთვის განსაზღვრულია სამიზნე მაჩვენებლები. კერძოდ, თითოეულ შესრულების ინდიკატორს ენიჭება მკაფიოდ განსაზღვრული სამიზნე ნიშნული, რომელიც შეგროვებული მონაცემების დადგენილ მიზნებთან შედარების და დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალური სწავლის შედეგების დონეზე, ასევე, კონკრეტულ კურსებთან მიმართებით.

სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება „სწავლის შედეგების შეფასების გეგმით“. ამასთან, შეფასების პროცესი ხორციელდება პროგრამით განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, ეფექტიანობის ინდიკატორების გამოყენებით. დოკუმენტი „სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები / სამიზნე მაჩვენებლები (Benchmarking LLM)“ განსაზღვრავს სამიზნე მაჩვენებლებს და სწავლის შედეგებს, ასევე, შეფასების პროცესში ჩართულ პასუხისმგებელ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და შეფასების ვადებს.

მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგით (სწავლის შედეგი 1), კურსდამთავრებულს „აქვს შიდა და საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების, მათი დაბეგვრის და ტრანზაქციების დროს წარმოშობილი საკითხების სამართლებრივი გადაწყვეტილებების სიღრმისეული ცოდნა“. ეს შედეგი პროგრამის კოორდინატორის მიერ ფასდება კურსის „საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების სამართალი“ ფარგლებში, IV სემესტრის ბოლოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ბიზნეს სამართლის მაგისტრატურის პროგრამის „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“ შემუშავებულია სასწავლო

გეგმის რუკის შესაბამისად და მოიცავს 39 შესრულების ინდიკატორს (PI), რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის 12 სწავლის შედეგისთვის.

დოკუმენტის „ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“ მიხედვით, შეფასების გეგმა მოიცავს 2026–2028 პერიოდს. მისი განხორციელება იგეგმება 2027–2028 სასწავლო წლის ბოლოსთვის, მას შემდეგ, რაც სტუდენტების დაამთავრებენ განახლებულ პროგრამას. ეს შესაძლებელს გახდის შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ განსაზღვრა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები კლასტერული პროგრამებისთვის (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა).

გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ როგორც აკადემიური, ასევე, მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებულ მეთოდებს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სწავლის შედეგები ეფუძნება პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სასწავლო სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებს.

სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების იდენტიფიცირებას, შეგროვებას და ანალიზს. გარდა ამისა, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი სისტემატურად გამოიყენება პროგრამების გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- საბაკალავრო პროგრამების რეგულირება
- ბიზნესის სამართლის მაგისტრატურის პროგრამა
- მაგისტრატურის პროგრამების რეგულირება
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი: სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნეს სამართლის მაგისტრატურის პროგრამა
- სასწავლო გეგმა - „სამართლის ბაკალავრი“
- „სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა“
- სასწავლო გეგმა - „კერძო სამართლის მაგისტრატურა (2026–2028)“
- „ბიზნეს სამართლის მაგისტრატურის პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა“
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

• „საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“
• „ბიზნეს სამართლის მაგისტრატურის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“
• სემესტრის გეგმა - :კერძო სამართლის მაგისტრატურა, საგადასახადო სამართლის მოდული (2026–2028)“
• კურსის სილაბუსები
• საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები
• საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები / სამიზნე მაჩვენებლები (Benchmarking BA)
• სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები / სამიზნე მაჩვენებლები (Benchmarking LLM)
• „გამოცდებისა და შეფასების ადმინისტრირების წესები“
• „სტუდენტის ეთიკის კოდექსი“
• უნივერსიტეტის ვებსაიტი
• აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, საბაკალავრო დონე)	არ არის	არ არის
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, სამაგისტრო დონე)	არ არის	არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა , საბაკალავრო დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, სამაგისტრო დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად კომპონენტის განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიეროკვლევის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;

- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის გამოყენებით. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტს დადგენილი აქვს რეგულაციები ორივე პროგრამისთვის, ასევე დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას ამ პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში.

ამ დოკუმენტის თანახმად, პროგრამების შემუშავებასა და განახლებაში გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე, მარეგულირებელი ჩარჩო, პრაქტიკა და საქართველოში იურიდიული განათლების არსებული გამოწვევები. დაინტერესებულ მხარეებს შორის, პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესებში ჩართული იყვნენ როგორც დამსაქმებლები, ასევე, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. უნდა აღინიშნოს, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ, დოკუმენტში ლექტორების მონაწილეობა ცალსახად არ არის ხაზგასმული; თუმცა, როგორც გასაუბრებების დროს გამოვლინდა, სპეციალიზებული საგნების ლექტორების უმეტესობა თანვე დამსაქმებლებიც არიან. შესაბამისად, პროგრამის შემუშავებაში ისინი ჩართულნი იყვნენ როგორც დამსაქმებლის კვოტით, ასევე, აკადემიური მიმართულებითაც.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: სამართლის საბაკალავრო პროგრამა (საბაკალავრო დონე)

სამართლის საბაკალავრო პროგრამა სულ 240 ECTS კრედიტიანია, რომლის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სასწავლო გეგმის მიხედვით, 53 კრედიტი გამოყოფილია უნივერსიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო კურსებზე, რომლებიც მოიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა ეკონომიკის საფუძვლები, პოლიტიკური იდეოლოგიები, ანთროპოლოგია და სხვა. ამ კომპონენტის სამართლის პროგრამასთან დაკავშირების აუცილებლობის თაობაზე, ექსპერტებმა კითხვები დასვეს როგორც პროგრამის დირექტორთან, ასევე, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

თუმცა, ერთი შეხედვით ამ კომპონენტის და ამ საგნების სავალდებულო ხასიათი შეიძლება გაუგებარი ჩანდეს მესამე პირებისთვის, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ერთხმად აღნიშნეს, ამ კურსებმა მათ საშუალება მისცა, განევითარებინათ ფართო და სისტემური ხედვა და შეეძინათ დამატებითი უნივერსალური უნარები. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს უნარები ძალიან სასარგებლოა მათ პროფესიულ საქმიანობაში და მათ სხვა კოლეგებისგან გამოარჩევს. მეტიც, ეს კომპონენტი, გარკვეულწილად, ასევე, განსაზღვრავს პროგრამის უნიკალურობას.

ძირითადი იურიდიული განათლების კურსები აერთიანებს 146 კრედიტს, პრაქტიკული იურიდიული განათლების კურსები - 26 კრედიტს, ხოლო არჩევითი სამართლის სპეციალიზაციის კურსები - 26 კრედიტს. პრაქტიკული იურიდიული განათლების კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტები ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ და პრაქტიკა გაიარონ იურიდიულ კლინიკებში. პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს რამდენიმე კლინიკა, რომლებიც სამართლის სხვადასხვა დარგის მიხედვით არის ორგანიზებული, და სადაც სტუდენტები თავიანთი პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე ერთვებიან.

პროგრამის მიზნები შეესაბამება სამართლის სფეროს დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნებს და, ამავდროულად, ლოგიკურად არის დაკავშირებული სასურველი სწავლის შედეგების მიღწევასთან. პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მინიჭებულ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს როგორც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე, მისი მიზნების შესრულებას.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებსაიტზე, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა (სამაგისტრო დონე)

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა 120 ECTS კრედიტიანია, რაც შემდეგნაირად ნაწილდება: 25 კრედიტი ენიჭება ბიზნეს ტრანზაქციების სამართლის მოდულს; 24 კრედიტი - ზოგადი პროფესიული პრაქტიკული განათლების მოდულს; 24 კრედიტი - ბიზნესის

ორგანიზაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და დაბეგვრის სამართლის მოდულს; 21 კრედიტი - არჩევითი სპეციალიზაციის მოდულს; 16 კრედიტი - ბიზნეს ტრანზაქციების პრაქტიკუმს; ხოლო დარჩენილი 10 კრედიტი ენიჭება სამაგისტრო ნაშრომს.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - კერძო სამართლის მაგისტრი. პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ბიზნესსამართლის სფეროში პრაქტიკოსი იურისტების მომზადებაზე, საგადასახადო სამართლის სფეროში დამატებითი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე და კურსდამთავრებულებისთვის შემდეგ აკადემიურ დონეზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის მიცემაზე. დაგეგმილი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მათი მიღწევა სრულიად შესაძლებელია სასწავლო გეგმის ფარგლებში. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც პროგრამის გამორჩეულობას, ასევე, მისი სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა არის არა მხოლოდ პრაქტიკული და თეორიული უნარების შეძენასა და განვითარებაზე ორიენტირებული, არამედ მოიცავს კვლევითი კომპეტენციების განვითარებას სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის მეშვეობით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, უნივერსიტეტსა და ვოშბერნის უნივერსიტეტს (Washburn) შორის დადებულ თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების სწავლას ვოშბერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში ერთი წლის განმავლობაში. შედეგად, კურსდამთავრებულებს ორივე უნივერსიტეტი ანიჭებს ბიზნესის სამართლის მაგისტრის ხარისხს. ეს კომპონენტი გამოარჩევს პროგრამას და ადასტურებს მის შესაბამისობას ინტერნაციონალიზაციის სტანდარტებთან.

საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა. **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

o საგანმანათლებლო პროგრამები
o სასწავლო გეგმის რუკები
o დოკუმენტი ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის (2025) შემუშავებასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ
o ვებსაიტი
o მემორანდუმი
o სასწავლო პროგრამები
o ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**<u>რეკომენდაციები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ,	**<u>რჩევები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური

	ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, საბაკალავრო დონე)	არ არის	არ არის
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა , სამაგისტრო დონე)	არ არის	არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა , საბაკალავრო დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა , სამაგისტრო დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

ორივე პროგრამის შემთხვევაში, კურსების სილაბუსებში მოცემულია დეტალური ინფორმაცია. მათ შორის, კურსის ზოგად მონაცემები (კრედიტების რაოდენობა, წინაპირობები, ლექტორები და კურსის აღწერა), ასევე კურსის მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან შესაბამისობაშია. სწავლებისა და სწავლის მეთოდები და შეფასების

სისტემები ასევე დეტალურად არის აღწერილი. მკაფიოდ არის განსაზღვრული როგორც უწყვეტი შეფასების მინიმალური ზღვარი, ასევე, საბოლოო გამოცდის მინიმალური ზღვარი.

სილაბუსებში, გამოსაყენებელ მასალად, მითითებულია სასამართლო გადაწყვეტილებების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, ასევე საერთაშორისოდ მნიშვნელოვან სასამართლო პრაქტიკას. ეს მიდგომა, თითოეული კურსის ფარგლებში, სალექციო თემების შესწავლას უფრო თვალსაჩინოს, პროგნოზირებადს და ყოვლისმომცველს ხდის. საბაკალავრო პროგრამაში სტრუქტურა ზოგადად ითვალისწინებს 2-საათიან სალექციო მეცადინეობას და 2-საათიან სემინარულ მეცადინეობას, ხოლო სამაგისტრო პროგრამაში იგი შედგება 1-საათიანი ლექციებისა და 2-საათიანი სემინარებისგან. საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელი სწავლის საათებს შორის თანაფარდობა დაბალანსებულია ყველა კურსში. ამავდროულად, კრედიტების განაწილება ლოგიკურია და შეესაბამება კურსის შინაარსსა და დატვირთვას. კურსები შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

სასწავლო გეგმებში მითითებული ლიტერატურა ყოვლისმომცველია და ასახავს არა მხოლოდ ნორმატიულ მასალებს, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის სამართლებრივ აქტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს. სასწავლო გეგმები მოიცავს განახლებულ სასწავლო მასალებს, რომლებიც პირდაპირ უწყობს ხელს კურსის შინაარსის შესწავლას და სასურველი სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 სამართლის საბაკალავრო პროგრამა (საბაკალავრო დონე)

სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს კურსებს, რომლებიც განაწილებულია პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად. კურსები ორგანიზებულია პროგრამის კომპონენტების მიხედვით. რამდენიმე კომპონენტი კონკრეტულად მოიცავს სამართლის სფეროს: 146 კრედიტი ენიჭება ძირითად იურიდიულ საგანმანათლებლო კურსებს, 26 კრედიტი - პრაქტიკულ იურიდიულ საგანმანათლებლო კურსებს და 26 კრედიტი - არჩევით სამართლის სპეციალიზაციის კურსებს.

ძირითადი საგნები, დარგების მიხედვით დაჯგუფებული, შედის ძირითადი იურიდიული განათლების კომპონენტში და იყოფა შემდეგ სფეროებად: ფუნდამენტური სამართლებრივი კვლევები, საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი, კერძო და ბიზნეს სამართალი და პროფესიული უნარების განვითარება. ამ სფეროებში შემოთავაზებულია როგორც შესავალი

კურსები (მაგ., სამოქალაქო სამართლის შესავალი, ადამიანის უფლებათა სამართლის შესავალი და ა.შ.), ასევე, ფუნდამენტური კურსები.

შეფასების სისტემა მოიცავს როგორც შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, ასევე, სემინარებში მონაწილეობას, ვიქტორინებსა და პრეზენტაციებს.

კურსი „შესავალი ადამიანის უფლებათა სამართალში“ ორიენტირებულია ადამიანის უფლებების შესახებ ზოგადი ცოდნის მიწოდებაზე, ხოლო კურსი „შესავალი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებზე“ ფოკუსირებულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული უფლებების შესწავლაზე. თუმცა, ორივე კურსი მოიცავს იდენტურ სალექციო თემებს, როგორიცაა სოციალური და ეკონომიკური უფლებები, საკუთრების უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და ა.შ. სასურველი იქნებოდა, რომ ამ კურსებს შორის უფრო მკაფიო განსხვავება ყოფილიყო არა მხოლოდ სწავლის მიზნების, არამედ სალექციო თემების თვალსაზრისითაც, რათა თავიდან იქნეს აცილებული სწავლების პროცესში გადაფარვა.

გარდა ამისა, კურსების ზოგიერთ კომპონენტში შეფასების სქემა მოიცავს ქულების განაწილების ფართო ინტერვალებს. მაგალითად, „ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების“ სასწავლო გეგმაში, საბოლოო გამოცდის შემთხვევის ანალიზის კომპონენტი ფასდება შემდეგნაირად: 20 ქულა, 19–13, 12–8, 7–1 და 0 ქულა. აღნიშნული სტრუქტურა არ იძლევა თანმიმდევრული შეფასების საშუალებას და მიზანშეწონილი იქნება ამ ინტერვალების უფრო თანმიმდევრული და სისტემატური გზით განსაზღვრა. იგივე ეხება სამაგისტრო პროგრამის ზოგიერთ კურსსაც, მაგალითად, „ბიზნეს სამართლის კლინიკის“ სასწავლო გეგმის შუალედური შეფასების კომპონენტს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა (სამაგისტრო დონე)

სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, კურსი „ბიზნეს ტრანზაქციების პრაქტიკა - სიმულაცია“ ითვალისწინებს 64 საათიან ინტერაქტიულ ლექციებს სასწავლო გეგმის მიხედვით. ამავდროულად, აკადემიური კალენდარი განსაზღვრავს 16 სასწავლო კვირას; თუმცა, ამ კვირების ნაწილი წარმოდგენილია კომბინირებული ფორმატით, როგორც საათების, ასევე, ლექციების თემების თვალსაზრისით, მაგალითად: 3-5 და 6-8 კვირები.

შესაბამისად, გაურკვეველია, რომელი კონკრეტული თემების განხილვაა დაგეგმილი, მაგალითად, მე-3 სასწავლო კვირაში და რომლის - მე-4 კვირაში. სასურველი იქნებოდა, რომ როგორც თემატური შინაარსი, ასევე, საკონტაქტო საათების რაოდენობა მკაფიოდ იყოს განსაზღვრული კვირის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o საგანმანათლებლო პროგრამა,

o სასწავლო გეგმები,

o სასწავლო გეგმის რუკა,

o ბიბლიოთეკის რესურსები,

o სასწავლო გეგმებში ასახული სასწავლო მასალები,

o ინტერვიუ

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, საბაკალავრო დონე)	არ არის	არ არის
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, სამაგისტრო დონე)	არ არის	არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი **1.5 - სასწავლო კურსი/საგანი**	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, საბაკალავრო დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, სამაგისტრო დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება

პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება
აღწერა და ანალიზი

კლასტერი აკმაყოფილებს სტანდარტი 2.1-ის მოთხოვნებს. ორივე პროგრამაში მიღების მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, გამჭვირვალე და შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას, უნივერსიტეტის რეგულაციებსა და თითოეული პროგრამის მიზნებს. მიღების პროცედურები საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული აპლიკანტისთვის.

უსდ-მ განსაზღვრა პროგრამებზე ჩარიცხვის მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება პროგრამების დონესა და მიზნებს და ეხმარება სტუდენტებს მიიღონ აკადემიური ცოდნა და უნარები, რომლებიც საჭიროა სწავლის შედეგების წარმატებით მისაღწევად.

შეფასება ადასტურებს, რომ მიღების პროცედურები თანმიმდევრულად ხორციელდება და ხელს უწყობს პროგრამების საერთო ხარისხს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამართალის საბაკალავრო პროგრამა, საბაკალავრო დონე)

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ერთიანი ეროვნული გამოცდების პროცედურების შესაბამისად.

პროგრამის მოთხოვნები შეესაბამება საბაკალავრო დონის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს, რომ მიღებულ სტუდენტებს ჰქონდეთ სამართლის შესწავლისთვის აუცილებელი ზოგადი აკადემიური მომზადება. ინფორმაცია მიღების მოთხოვნების, პროცედურებისა და ჩარიცხვის წესების შესახებ ხელმისაწვდომია პოტენციური სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ოფიციალური საკომუნიკაციო არხებით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამებზე მიღების მოთხოვნები სათანადოდ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, სამაგისტრო დონე)

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდისა და ინსტიტუციური გასაუბრების საფუძველზე.

გასაუბრება საშუალებას აძლევს დაწესებულებას, შეაფასოს აპლიკანტების აკადემიური მომზადება, მოტივაცია, ანალიტიკური უნარები და პროგრამისთვის შესაბამისობა. მიღების მოთხოვნები შეესაბამება სამაგისტრო დონეს და უზრუნველყოფს შესაბამისი აკადემიური გამოცდილების მქონე სტუდენტების შერჩევას.

დასკვნის სახით, პროგრამაზე მიღების პროცედურები ეფექტურად უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას ბიზნესის სამართლის სფეროში შემდგომი სწავლისთვის და ხელს უწყობს პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

· სამართლის საბაკალავრის პროგრამა

· ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

· საქართველოს კანონი 'უმაღლესი განათლების შესახებ'

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 (სამართლისპროგრამა, საბაკალავრო დონე)	არ არის	არ არის
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის პროგრამა, სამაგისტრო დონე)	არ არის	არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შეფასება
პროგრამა 1 (სამართლის პროგრამა, საბაკალავრო დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის პროგრამა, სამაგისტრო დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

შეფასებული სამართლის პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და უნივერსალური უნარების განვითარებას, პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისად.

პროგრამები დიდ ყურადღებას აქცევენ პრაქტიკული უნარების განვითარებას და სასწავლო გეგმები მნიშვნელოვან პრაქტიკულ კომპონენტებს მოიცავს. პროგრამების მიზანია უზრუნველყოს, რომ სტუდენტებმა არა მხოლოდ მიიღონ თეორიული ცოდნა, არამედ შეძლონ ამ ცოდნის გამოყენება, ანალიზი და შეფასება პრაქტიკულ, რეალურ კონტექსტში. ეს ხელს უწყობს მათ პროფესიულ მომზადებას, დასაქმებას და შემდგომ კარიერულ განვითარებას.

ორივე პროგრამის ეფექტურობას კიდევ უფრო ადასტურებს მათი კურსდამთავრებულების აკადემიური და პროფესიული წინსვლა. როგორც დადასტურდა, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისას, კურსდამთავრებულები სწავლას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში აგრძელებენ. გარდა ამისა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ პროგრამები წარმატებით უწყობს ხელს შრომის ბაზარზე მოთხოვნილი დარგობრივი კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას.

დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ საერთო ჯამში, პროგრამებში პრაქტიკული, კლინიკური, კვლევითი, აკადემიური და საერთაშორისო ელემენტების თანმიმდევრული კომბინაცია ხელს უწყობს მათი შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას და სამართლის დარგში კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და პროფესიულად ორიენტირებული კურსდამთავრებულების მომზადებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამართალი საბაკალავრო პროგრამა, საბაკალავრო დონე)

სამართლის საბაკალავრო პროგრამა, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებში თეორიული ცოდნის, პრაქტიკული იურიდიული უნარების, კვლევითი უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. პროგრამა აერთიანებს ზოგად იურიდიულ განათლებას, სპეციალიზაციაზე ორიენტირებულ არჩევით კურსებს, კლინიკურ იურიდიულ განათლებას, სავალდებულო იურიდიულ პრაქტიკას, კვლევაზე დაფუძნებულ დავალებებს და საბაკალავრო ნაშრომს. ეს სტრუქტურა საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ სამართლის სხვადასხვა დარგის ფართო ცოდნა, პრაქტიკაში გამოიყენონ სამართლებრივი კონცეფციები და მეთოდები, იმუშაონ რეალურ სამართლებრივ საქმეებზე, განავითარონ სამართლებრივი მსჯელობისა და შედგენის უნარები და კვალიფიციური ხელმძღვანელობით, ჩაატარონ დამოუკიდებელი აკადემიური კვლევა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იძენენ ფართო თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას სამართლის სხვადასხვა დარგში. ზოგადი იურიდიული განათლების კურსების მეშვეობით, ისინი სწავლობენ სამართლის პრინციპებსა და მეთოდებს, ეცნობიან სამართლებრივი ფილოსოფიის ძირითად კონცეფციებსა და თანამედროვე საკითხებს და სწავლობენ სამართლის წყაროების, მათ შორის ისტორიული წყაროების იდენტიფიცირებასა და ანალიზს. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ არჩევითი კურსები, მათი აკადემიური და პროფესიული ინტერესების შესაბამისად და მოამზადონ საბაკალავრო ნაშრომი მათ მიერ არჩეულ სპეციალიზაციის სფეროში.

პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ პრაქტიკული უნარები იურიდიული კლინიკის, იურიდიული პრაქტიკის და სხვა პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპონენტების მეშვეობით. სწავლის პერიოდში სტუდენტები მუშაობენ კლიენტების რეალურ საქმეებსა და პრაქტიკულ სამართლებრივ პრობლემებზე, რაც აძლიერებს მათ უნარს, გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ პროფესიულ კონტექსტში. კერძოდ, ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ კომერციული სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სისხლის სამართლის და კონსტიტუციური სამართლის კლინიკებში, სტუდენტები ჯგუფურად მუშაობენ რეალურ სამართლებრივ საქმეებზე, პრაქტიკოსი

ადვოკატების ხელმძღვანელობით. კლინიკური განათლების ფარგლებში, სტუდენტები ასევე ატარებენ სამართლებრივ კვლევას და ამზადებენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს, მათ შორის სარჩელებს, პასუხებს, საჩივრებს, amicus curiae-ის მოსაზრებებს და სამართლებრივ დასკვნებს. აღსანიშნავია, რომ იურიდიული კლინიკა აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, აქტიურად ფუნქციონირებს და მასში ჩართულ სტუდენტებს ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებით განსაზღვრული აუცილებელი უნარების განვითარებას.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტია იურიდიული პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები იყენებენ სწავლის დროს შეძენილ ცოდნასა და კომპეტენციებს პროფესიულ გარემოში. პრაქტიკული სტაჟირების მიზნით, უმაღლესმა სასწავლებელმა დადო მემორანდუმები/შეთანხმებები სხვადასხვა დამსაქმებელთან. შეთანხმებები მოიცავს ინფორმაციას სტუდენტების რაოდენობის, მიზნების, შედეგის და პრაქტიკის ხანგრძლივობის შესახებ და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევას. პროგრამის პრაქტიკულ ასპექტს კიდევ უფრო ამყარებს მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსების, აკადემიური პერსონალისა და კვლევითი პერსონალის ჩართულობა სასწავლო პროცესში.

პროგრამა ასევე ხელს უწყობს სტუდენტების სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას. რამდენიმე კურსი მოითხოვს სტუდენტებისგან კონკრეტული სამართლებრივი საკითხების შესწავლას, დამოუკიდებელი ანალიზის ჩატარებას და კვლევითი ნაშრომების ან პრეზენტაციების მომზადებას. სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები ატარებენ დამოუკიდებელ სამართლებრივ კვლევას, კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით. საგანმანათლებლო პროცესი სტრუქტურირებულია ისე, რომ სტუდენტებს დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის დაგეგმვაში, შემუშავებასა და დასრულებაში დაეხმაროს.

გარდა ამისა, არჩევითი მოდულის ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო პროცესების კონკურსებში, მათ შორის „ცოდნის ფონდის“ მიერ გამოყოფილი დაფინანსებით. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამა სამართლში სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას აირჩიონ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი აკადემიური პროგრამა და, მათი ძირითადი სასწავლო სფეროს გარდა, მიიღონ დამატებითი სპეციალიზაცია.

სამართლის სკოლა ასევე ხელს უწყობს კვლევაზე ორიენტირებულ და პროფესიული განვითარების აქტივობებს, სამეცნიერო კვლევის ჩატარებით და საჯარო ლექციების, კონფერენციების, იმიტირებული სასამართლო პროცესების, კონკურსებისა და დისკუსიების ორგანიზებით, მათ შორის აქტივობებით, რომლებიც მიზნად ისახავს amicus curiae-ის მომზადებას და წარდგენას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის.

საერთო ჯამში, სამართლის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია იურიდიულ სფეროში კონკურენტუნარიანი, პროფესიულად წარმატებული და მოთხოვნადი კურსდამთავრებულების მომზადებაზე. აკადემიური, პრაქტიკული, კვლევითი და პროფესიული განვითარების კომპონენტების ინტეგრირებული კომბინაცია უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებთან შესაბამისობაში სწავლის შედეგების მიღწევას. ეს საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს, გამოირჩეოდნენ იურიდიულ პროფესიაში და წარმატებით უპასუხონ შრომის ბაზრის მიმდინარე და სამომავლო გამოწვევებს, მათ შორის, როგორც იურიდიულ, ასევე, მასთან დაკავშირებულ დისციპლინებში შეძენილი ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების მეშვეობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის პროგრამა, სამაგისტრო დონე)

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა სტრუქტურირებულია, რომ უზრუნველყოს სტუდენტების პრაქტიკული, პროფესიული, სამეცნიერო, კვლევითი და უნივერსალური უნარების განვითარება, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამა ითვალისწინებს თეორიულ სწავლებას პრაქტიკაზე ორიენტირებულ კომპონენტებთან ერთად, კლინიკურ იურიდიულ განათლებას, სპეციალიზაციის მოდულებს, კვლევაზე დაფუძნებულ დავალებებსა და სამაგისტრო ნაშრომს. ეს სტრუქტურა საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაიღრმავონ ცოდნა ბიზნესის სამართლის ძირითად სფეროებში, გამოიყენონ სამართლებრივი კონცეფციები პრაქტიკულ და რეალურ ბიზნესსამართლის საკითხებში, განივითარონ პროფესიული დოკუმენტის შედგენისა და კონსულტაციის უნარები და კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ, ჩაატარონ დამოუკიდებელი აკადემიური კვლევა.

პრაქტიკული უნარების განვითარების უზრუნველსაყოფად, პროგრამა სთავაზობს არჩევით სპეციალიზაციის მოდულებს, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ „ბიზნესის სამართლის პრაქტიკის მოდული“ ან „საგადასახადო სამართლის მოდული“. „ბიზნესის სამართლის პრაქტიკის მოდული“ სტუდენტებს აძლევს სიღრმისეულ ცოდნას და პრაქტიკულ გაგებას ბიზნეს სამართალთან უშუალოდ დაკავშირებული სფეროების შესახებ, მათ შორის კომერციული არბიტრაჟის, ფინანსური სამართლისა და კაპიტალის ბაზრების და კოლიზიური სამართლის შესახებ. „საგადასახადო სამართლის მოდული“ ფოკუსირებულია ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე, საგადასახადო სამართლის პრაქტიკულ ასპექტებსა და საერთაშორისო საგადასახადო სამართალზე. ამ მოდულის ფარგლებში, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ლექტორები ასწავლიან სპეციალიზებულ კურსს ფინანსურ აღრიცხვასა და საგადასახადო ანგარიშგებაში, რომელიც მორგებულია პროფესიონალი იურისტების საჭიროებებზე.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი კიდევ უფრო ძლიერდება „კომერციული სამართლის კლინიკისა“ და პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსების მეშვეობით. ე.წ. „რეალურ კლიენტებთან კომერციული სამართლის კლინიკის“ ფარგლებში, სტუდენტები მუშაობენ

რეალურ სამართლებრივ საკითხებზე, ამზადებენ საკონსულტაციო წერილებს კლიენტებისთვის და ატარებენ ბიზნეს სამართლის რეალური პრობლემების სამართლებრივ ანალიზს. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ თეორიული ცოდნა პრაქტიკულ პროფესიულ კონტექსტში და განივითარონ უნარები, რომლებიც შესაბამისია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო იურიდიული პრაქტიკისთვის. შესაბამისად, პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რომ იგი ამზადებს კურსდამთავრებულებს დამოუკიდებლად შევიდნენ ბიზნესსამართლის სფეროში და უპასუხონ თანამედროვე პროფესიულ და პრაქტიკულ მოთხოვნებს როგორც ქართულ, ასევე, საერთაშორისო სამართლებრივ გარემოში.

პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისი სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას. რიგი აკადემიური კურსები მოითხოვს სტუდენტებისგან კონკრეტული ბიზნესსამართლის საკითხების შესწავლას, იურიდიული კვლევის ჩატარებას და კვლევითი ნაშრომების და/ან პრეზენტაციების მომზადებას. კვლევითი უნარები ასევე ვითარდება კლინიკური კურსის ფარგლებში, სადაც სტუდენტები აანალიზებენ რეალურ სამართლებრივ პრობლემებს და ამზადებენ წერილობით იურიდიულ მოსაზრებებსა და საკონსულტაციო დოკუმენტებს.

პროგრამის მნიშვნელოვანი სავალდებულო კვლევითი კომპონენტია - სამაგისტრო ნაშრომი, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტები ატარებენ დამოუკიდებელ კვლევას აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე სათანადო კვალიფიციკაციის მქონე ხელმძღვანელის ზედამხედველობით და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელის მონაწილეობით. ნაშრომის კომპონენტი ხელს უწყობს სტუდენტების უნარების განვითარებას, გამოავლინონ აქტუალური იურიდიული პრობლემები, ჩაატარონ სიღრმისეული კვლევა, გააანალიზონ სამართლებრივი წყაროები და ჩამოაყალიბონ კარგად დასაბუთებული დასკვნები. მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, პროგრამის კვლევითი კომპონენტის შემდგომი გაძლიერების მიზნით, სასურველი იქნებოდა, ფაკულტეტმა მხარი დაუჭიროს სტუდენტების კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნებას სპეციალურ სტუდენტურ ჟურნალში ან გამოცემაში. ეს კიდევ უფრო წაახალისებს სტუდენტების კვლევით საქმიანობას, ხელს შეუწყობს აკადემიური წერის უნარების განვითარებას და გაზრდის სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომების ხილვადობას.

კვლევითი უნარების ეფექტური განვითარებისთვის, სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სამეცნიერო ლიტერატურით და ელექტრონულ რესურსებზე წვდომით. HeinOnline-ზე წვდომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე კვლევის ჩასატარებლად. კვლევის პროცესს კიდევ უფრო ამარტივებს ის ფაქტი, რომ სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ რესურსებზე არა მხოლოდ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კომპიუტერებიდან, არამედ დისტანციურადაც.

პროგრამა ასევე ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიურ, პროფესიულ და საერთაშორისო განვითარებას დამატებითი შესაძლებლობების მეშვეობით. ბიზნესსამართლის ცენტრის მიერ უნივერსიტეტში ორგანიზებულია კონფერენციები ბიზნესსამართლის აქტუალურ საკითხებზე, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ მონაწილეობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, პროგრამა აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ში, „ვოშბერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის გლობალური სამართლებრივი კვლევების LLM პროგრამასთან“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ვოშბერნის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა მეორე კურსის ხუთ სტუდენტს აძლევს ერთი აკადემიური წლის ვოშბერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში გატარების შესაძლებლობას. ვოშბერნის უნივერსიტეტში მიღებული კრედიტები აღიარებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მოთხოვნების წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ბიზნესის მაგისტრის ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

· საბაკალავრო პროგრამა სამართალში

· სამაგისტრო პროგრამა ბიზნეს სამარათლში

· პროგრამის სასწავლო გეგმები

· მემორანდუმები/შეთანხმებები

· ადგილზე ვიზიტი

· ინტერვიუს შედეგები

· სილაბუსები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		

პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	არ არის	არ არის
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	არ არის	მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, პროგრამის კვლევითი კომპონენტის შემდგომი გაძლიერების მიზნით, სასურველია, სამართლის ფაკულტეტმა მხარი დაუჭიროს სტუდენტების კვლევითი ნაშრომების სპეციალურ ჟურნალში ან გამოცემაში გამოქვეყნებას. ეს კიდევ უფრო წაახალისებდა სტუდენტების კვლევით საქმიანობას, ხელს შეუწყობდა აკადემიური წერის უნარების განვითარებას და გაზრდის სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომების ხილვადობას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა,)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების, თვითშეფასების ანგარიშის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი სასწავლო პროგრამების სილაბუსების შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, გამოვლინდა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდებით. სწავლებისა და სწავლის მეთოდები შერჩეულია თითოეული აკადემიური კურსის მიზნების, შინაარსის, სპეციფიკისა და სწავლის შედეგების, ასევე, სწავლების დონის შესაბამისად.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები იყენებენ სწავლებისა და სწავლის მეთოდების მრავალფეროვან სპექტრს, რომელიც მიზნად ისახავს პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. ეს მეთოდები მოიცავს ვერბალურ, ტექსტზე დაფუძნებულ, წერილობით, ჯგუფურ მუშაობას, პრობლემაზე დაფუძნებულ, დემონსტრაციულ, ინდუქციურ, დედუქციურ, ანალიტიკურ, სინთეზურ, პრაქტიკულ, განმარტებით, ინტერაქტიულ, შედარებით, მოქმედებაზე ორიენტირებულ, თანამშრომლობით, დისკუსიაზე/დებატებზე დაფუძნებულ, იდეების გენერირების, კლინიკურ და შემთხვევის შესწავლის მეთოდებს. აკადემიური კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესი ასევე მოიცავს იურიდიული საქმეებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას და კრიტიკულ ანალიზს, თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს, დისკუსიებსა და დებატებს, „სოკრატეს მეთოდს“, დემონსტრაციულ მეთოდს, კაზუისტურ (casuistic) სწავლების მეთოდს/საქმის ანალიზის მეთოდს, შემთხვევის შესწავლის მეთოდს, სიმულაციას, პრაქტიკულ სწავლებას და დამოუკიდებელი სწავლის მეთოდებს.

თითოეული კურსისთვის სწავლებისა და სწავლის მეთოდების შერჩევა ეფუძნება საგნის შინაარსსა და სპეციფიკას და ორიენტირებულია წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე. სამართლის პროგრამებში გამოყენებული მეთოდები შექმნილია სტუდენტების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის, სტუდენტებსა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის ურთიერთქმედების, ასევე, თავად სტუდენტებს შორის კომუნიკაციის მიზნით. გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტების ავტონომიისა და პასუხისმგებლობის განვითარებას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს სხვადასხვა პროფესიული და უნივერსალური უნარების ჩამოყალიბებას, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობის, არგუმენტაციის, იურიდიული წერის, ზეპირი კომუნიკაციის, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისა და გუნდური მუშაობის. სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური პროგრამა შემუშავებული და განხორციელებულია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მზაობის შესაბამისად.

იურიდიული პროგრამები ასევე აშკარად ორიენტირებულია პრაქტიკულ აქტივობებზე. შემთხვევის ანალიზის, სიმულაციების, იურიდიული კლინიკების, პრაქტიკული დავალებების და დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლების გზით, სტუდენტებს ეძლევათ

შესაძლებლობა, გამოიყენონ თეორიული ცოდნა პრაქტიკულ იურიდიულ სიტუაციებში. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს პრაქტიკული იურიდიული უნარების განვითარებას, სტუდენტების პროფესიულ მომზადებას და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობას.

პროგრამებში მითითებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გარდა, ლექტორებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვა შესაბამისი მეთოდები სადაც ეს საჭიროა. ამავე დროს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, საგნის სფერო და პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური თავისუფლება. დამატებითი ან ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, ისინი შესაბამის სასწავლო გეგმებში აისახება.

ასევე დადგინდა, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების შესაბამის დონეს. იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრის პროგრამაში მეთოდები მიმართულია საბაზისო იურიდიული ცოდნის, პრაქტიკული იურიდიული უნარების, ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარების თანდათანობით განვითარებაზე. ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია უფრო ღრმა სამართლებრივ ანალიზზე, მოწინავე პრაქტიკულ გამოყენებაზე, დამოუკიდებელ კვლევაზე, პროფესიულ განსჯასა და სპეციალიზაციასთან დაკავშირებულ კომპეტენციებზე.

შესაბამისად, სწავლებისა და სწავლის მეთოდები თავსებადია სწავლების შესაბამის დონესთან, შეესაბამება აკადემიური კურსების შინაარსსა და სპეციფიკას და ორიენტირებულია სასწავლო მიზნების მიღწევაზე. პროგრამები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული, ინტერაქტიული, პრაქტიკული და შედეგზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში და ხელს უწყობს პროგრამებით მოთხოვნილი კომპეტენციების განვითარებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

· სამართლის საბაკალავრო პროგრამა

· ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

· სილაბუსები

· ინტერვიუების შედეგები

· თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო ბაკალავრი)	არ არის	არ არის
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	არ არის	არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი **2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები**	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტების შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ-ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და

დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;

- სადოქტორო საგანმანათლებლო დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროგრამა ნამუშევრის, ითვალისწინებს ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;
- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;
- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

სამართლიანი შეფასების სისტემა სტუდენტის განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. შეფასების სისტემა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს. იგი სხვადასხვა ტიპის კრიტერიუმებით იზომება, რადგან მისი მიზანია იმის დადგენა, თუ რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის დასრულების შედეგად, რა იცის და რა შეუძლია. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული შეფასების სისტემა გაწერილია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების შესაბამისად (2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კრედიტების გაანგარიშების წესის

დამტკიცების შესახებ“). კერძოდ, შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და შედგება შუალედური და საბოლოო შეფასების ფორმებისგან. შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო გეგმის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტის ცოდნის დასადგენად გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმი და შეფასების ფორმა. ესენია:

- დისკუსიებში მონაწილეობის შეფასება
- აქტივობის შეფასება
- შუალედური გამოცდები
- საშინაო დავალება
- ვიქტორინები
- პრაქტიკული დავალებები
- პროექტები
- ანგარიშები
- წერილობითი ნაშრომები
- ესეები
- ზეპირი გამოცდები
- პრეზენტაციები
- ღია/დახურული ტესტები
- ჰიპოთეტური და რეალური შემთხვევების ანალიზი
- შემთხვევის ანალიზი (მოკლე)
- სასწავლო სასამართლო პროცესი (სიმულაციური პროცესი)
- სამართლებრივი მემორანდუმი
- პროცედურული დოკუმენტები
- საბოლოო გამოცდები
- საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი

სასწავლო პროგრამაში შეფასების სისტემა და სწავლება ძირითადად მიზნად ისახავს სტუდენტების პრაქტიკული უნარების დახვეწასა და გაუმჯობესებას. შესაბამისად, შეფასების კომპონენტები, როგორიცაა მემორანდუმის წერა, ესეები, ანგარიშები და შემთხვევის ანალიზი, სწორედ ამ უნარების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული.

უნივერსიტეტში გამოცდების უმეტესობა საგამოცდო ოთახებში ტარდება. იურიდიული ფაკულტეტის გამოცდები მთლიანად საგამოცდო ცენტრში ტარდება. საგამოცდო ცენტრის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ თითოეულ სტუდენტს აქვს საკუთარი კომპიუტერი უნიკალური ნომრით. არაკეთილსინდისიერი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, საგამოცდო პროცესში, უნივერსიტეტი ხშირად ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებს სვამს, რათა თავიდან აიცილოს ერთმანეთისგან გადაწერა. უნივერსიტეტს აქვს გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების დებულება, რომელიც განმარტავს, რომ გამოცდის თარიღს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი ადგენს. გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების უნივერსიტეტის დებულების საფუძველზე: 1. სტუდენტები ფასდებიან წერილობითი და/ან ზეპირი ფორმით; 2. როგორც წესი, წერილობითი შეფასება ტარდება ელექტრონულად უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში - თითოეული სტუდენტისთვის პირადად გამოყოფილ კომპიუტერზე ან მატერიალური ფორმით. 3. გამოცდების მიმდინარეობა იწერება ვიდეომონიტორინგის კამერების საშუალებით.
4. სტუდენტების შეფასების ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი გამოცდის დროს, თითოეული სტუდენტისთვის პირადად გამოყოფილი კომპიუტერის ეკრანი კონტროლდება.

5. წერილობითი შეფასება ტარდება:
5.1. „დახურული წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტებს ეკრძალებათ რაიმე სახის დამხმარე მასალების ან ლიტერატურის გამოყენება;
5.2. „ღია წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტებს შესაბამისი საგნის ლექტორი კონკრეტულად აცნობს, თუ რა სახის დამხმარე მასალების ან ლიტერატურის გამოყენება შეუძლიათ.

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის რეგულაციების გათვალისწინებით:
7.1. დადებითი შეფასების ხუთი ტიპი არსებობს:
7.1.1. ფრიადი(A) შესანიშნავი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;
7.1.2. (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;
7.1.3. (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;
7.1.4. (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;
7.1.5. (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.
7.2. უარყოფითი შეფასების ორი ტიპი არსებობს:
7.2.1. (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი შრომა სჭირდება ჩაბარებისთვის და მას ეძლევა უფლება, დამოუკიდებელი სწავლის საფუძველზე ხელახლა ჩააბაროს დამატებითი საბოლოო გამოცდა, ან შესაძლებლობა, ხელახლა შეასრულოს საბოლოო დავალება;
7.2.2. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არასაკმარისია და მან ხელახლა უნდა შეისწავლოს საგანი.

7.3. სტუდენტის ცოდნა ფასდება შუალედური და საბოლოო შეფასებებით. საბოლოო შეფასება სავალდებულოა. თუ სტუდენტი არ მიიღებს საბოლოო შეფასებას, კურსი არ ჩაითვლება ჩაბარებულად.
7.4. განმეორებითი გამოცდა ინიშნება საბოლოო გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
7.5. სტუდენტს შეუძლია ხელახლა ჩააბაროს გამოცდა ან გაიმეოროს საბოლოო დავალება, თუ მან გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ვერ გადალახა საბოლოო გამოცდის/დავალების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შუალედური შეფასების შედეგად დააგროვა 41 ან მეტი ქულა/პროცენტი (მათ შორის, შესაძლოა, 41-ზე მეტი, სასწავლო გეგმის შეფასების სისტემის შესაბამისად). ასევე, სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა ჩააბაროს გამოცდა ან გაიმეოროს საბოლოო დავალება, თუ მან გადალახა როგორც შუალედური, ასევე საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და ორივე შეფასების შედეგად დააგროვა 41-50 ქულა/პროცენტი.
7.6. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური და საბოლოო შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და მიიღო ამ მუხლის 7.1 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასებებიდან ერთ-ერთი.

ინტერვიუების დროს, ექსპერტებმა სტუდენტებს დაუსვეს კითხვები შეფასების სისტემის, სააპელაციო მექანიზმებისა და სასწავლო გეგმების შესახებ და უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ნამდვილად კარგად არიან ინფორმირებულნი და კარგად იცნობენ უნივერსიტეტში არსებულ რეგულაციებს. სააპელაციო მექანიზმი ასევე ახსნილია რეგულაციაში, რომლის თანახმად, თუ სტუდენტი მიიჩნევს, რომ მის შუალედურ და/ან საბოლოო შეფასებაში შეცდომაა, მას შეუძლია დაუკავშირდეს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს/საგნის კურატორს EMIS-ზე, მისი შეფასებების გამოქვეყნებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, შეავსოს სააპელაციო ფორმა და შევსებული სააპელაციო ფორმა გაუგზავნოს კოორდინატორს/საგნის კურატორს ელექტრონული ფოსტით.

სააპელაციო ფორმაში, სტუდენტმა ნათლად უნდა ახსნას რატომ არ ეთანხმება შეფასებას:
1. სტუდენტის სააპელაციო საჩივარი ლექტორისადმი უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ ვარაუდს; სტუდენტმა უნდა ახსნას, თუ რატომ თვლის, რომ იმსახურებს განსხვავებულ შეფასებას;
2. სტუდენტის მიერ სააპელაციო ფორმით წარდგენილი დასაბუთება უნდა იყოს კონკრეტული. შეფასების განხილვის პროცესს დაექვემდებარება მხოლოდ დასაბუთებული განაცხადები. პროგრამის კოორდინატორი/საგნის კურატორი მიაწვდის სწორად შევსებულ სააპელაციო ფორმას (დასაბუთებით) შესაბამისი საგნის ლექტორს;
3. თუ შესაბამისი საგნის ლექტორი მიიჩნევს, რომ სტუდენტის მიერ გამოთქმული ვარაუდი დასაბუთებულია, იგი ხელახლა განიხილავს სტუდენტის ნამუშევარს/დავალებას და აცნობებს მას, თუ რამდენად დასაბუთებული იყო სტუდენტის პრეტენზია და შეიცავდა თუ

არა შეფასება შეცდომას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება საკითხების განხილვა ლექტორთან.

ამით სააპელაციო პროცედურა არ სრულდება. თუ სტუდენტი კვლავ მიიჩნევს ლექტორის შეფასებას არადამაკმაყოფილებლად, დებულების 7.2.14, 7.2.15 და 7.2.16 მუხლების შესაბამისად: მას შეუძლია, ლექტორისთვის სტუდენტის გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით (ელექტრონული ფოსტით) მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს ან პროგრამის ხელმძღვანელს და დასაბუთებულად წარუდგინოს რატომ არ ეთანხმება შეფასებას; 7.12.5. თუ დეკანი/საგნის კურატორი/პროგრამის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ სტუდენტის ვარაუდი გამართლებულია, იგი ვალდებულია შეისწავლოს საკითხი და შედეგად, ან ლექტორის საწყისი შეფასება გამართლებულად ჩათვალოს, რომელიც უცვლელი რჩება, ან მიმართოს შესაბამის ლექტორს სამუშაოს/დავალების გადახედვის მოთხოვნით და შესაბამისი ინსტრუქციებით. საკითხის შესასწავლად, დეკანს/საგნის კურატორს/პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია, საჭიროებისამებრ და შესაძლებლობის შემთხვევაში, კონსულტაციები გაიარონ უნივერსიტეტის სხვა კვალიფიციურ პირებთან და/ან გამოიყენონ ალტერნატიული შეფასების მეთოდი, უნივერსიტეტის თემატურად კომპეტენტური პირ(ებ)ის მონაწილეობით; 7.12.6. დეკანის/საგნის კურატორის/საგნის პროგრამის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება საბოლოოა.

პლაგიატთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება არ იყენებს არცერთ პროგრამას, რადგან აღნიშნავენ, რომ თითოეული სტუდენტი სრულად იცნობს პლაგიატის დებულებებს, ისინი ინფორმირებულნი არიან ყველა იმ პროცესის შესახებ, რაც შეიძლება გამოიწვიოს მათმა პლაგიატმა თითოეული დარღვევის შემთხვევაში. გარდა ამისა, სასწავლებელმა დისერტაციის წერისას განმარტა, რომ ხელმძღვანელი ამოწმებს თითოეულ დისერტაციაში თითოეულ სქოლიოს და ძალიან ბევრ სტუდენტს, რომელთა შემთხვევაშიც პლაგიატის საკითხი წარმოიშვა, შესაბამისი დისციპლინური ზომები იქნა გამოყენებული. შესაბამისად, სასწავლებელი არ იყენებს არცერთ პლატფორმას და სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს სტუდენტს, პროგრამის ხელმძღვანელს და დისერტაციის უშუალო ხელმძღვანელს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)		
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი **2.4. სტუდენტების შეფასება**	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და

რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან/უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;
- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.
- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებოშემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ- კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;
- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;
- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

სტუდენტების უშუალო ჩართულობა ნებისმიერ პროცესში და მათი ინტერესების გათვალისწინება ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს. ექსპერტების პირველი კითხვა ეხებოდა თვითშეფასების ჯგუფში სტუდენტების ჩართულობას, რაზეც დაწესებულებამ განმარტა, რომ სტუდენტები უშუალოდ არ არიან ჩართულნი თვითშეფასების ჯგუფში. ეს განპირობებულია უნივერსიტეტის მკაცრი მიდგომით, რომ ერთი სტუდენტი ვერ ისაუბრებს ყველას სახელით; შესაბამისად, ისინი სტუდენტების საჭიროებებს ადგენენ შეხვედრებისა და გამოკითხვების მეშვეობით. გარდა

ამისა, დეკანმა განმარტა, რომ სტუდენტები მას ასევე უგზავნიან ინფორმაციას საჭირო კურსებისა და საერთაშორისო დასაქმების შესაძლებლობების თაობაზე. უნივერსიტეტმა გაიხსენა რამდენიმე მაგალითი, რომლებიც სტუდენტების მოთხოვნის გამო იქნა გათვალისწინებული. მაგალითად, სტუდენტებმა მოითხოვეს, რომ აკადემიური ნაშრომი უფრო შემცირებულ ჯგუფში განხილულიყო და უნივერსიტეტმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა. ასევე, სტუდენტებმა მოითხოვეს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) კურსის დამატება და ეს კურსი დაემატა. შესაბამისად, თუ სტუდენტმა თავისი საჭიროება დააფიქსირა გამოკითხვებში, დაწესებულება ითვალისწინებს მათ.

სტუდენტები კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით იღებენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისგან, მათ შორის:

1. სკოლის დეკანისაგან
2. პროგრამის ხელმძღვანელისაგან
3. სკოლის კოორდინატორისგან
4. სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურისაგან
5. პროგრამის განვითარების საკითხებში პრორექტორისაგან

გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, თუ ლექტორთან აქვთ რაიმე შეკითხვა, მათ ასევე შეუძლიათ ისარგებლონ საკონსულტაციო საათებით. დაწესებულებამ განიხილა მრავალი საკითხი, სტუდენტების მოთხოვნების შესაბამისად.

დაწესებულებაში მოქმედებს „ცოდნის ფონდის“ დაფინანსების პროგრამა, რომლის მეშვეობითაც გამორჩეული აბიტურიენტები იღებენ უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსებას. შესაბამისად, დაწესებულება სწავლის საფასურის შეღავათებს სთავაზობს როგორც აბიტურიენტებს, ისე სტუდენტებს. აღსანიშნავია, საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მაგალითად:

1. ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული სასამართლო კონკურსი

2. ბრაუნ მოსტენის საერთაშორისო კლიენტთა კონსულტაციის კონკურსი

3. ვილემ ს. ვისის სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული სასამართლო პროცესი

4. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმიტირებული სასამართლოს კონკურსი

საერთაშორისო კონკურსებისთვის სტუდენტები შეირჩევიან აკადემიური მოსწრებისა და გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრების წარმატებით გასავლელად საჭიროა საგნისა და ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება სტუდენტის მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებში. მონაწილეობის ყველა ხარჯს სრულად აფინანსებს დაწესებულება, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ საზღვარგარეთ გამართულ სხვადასხვა რაუნდში.

კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია წამყვან კომპანიებში, შესაბამის პოზიციებზე. გარდა ამისა, რამდენიმე კურსდამთავრებულმა ჩააბარა ადვოკატთა გამოცდები შეერთებულ შტატებში (ბრუკლინი, ნიუ-იორკი) და ამჟამადაც მუშაობს პროფესიული კუთხით. მათ აღნიშნეს, რომ თავისუფალ უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამ მიღწევებში, რადგან მათ ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელოვანი საფუძველი სწორედ ამ უსდ-ში შეიძინეს. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, ხოლო სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გაიხსენეს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მრავალი ღონისძიება, კონკურსი, კონფერენცია და დასაქმების ბაზრობა. მათ ამ შესაძლებლობების შესახებ განახლებული ინფორმაცია მიიღეს როგორც პლატფორმის, ასევე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

პრაქტიკული უნარების დახვეწისთვის ასევე გათვალისწინებულია სტაჟირება და პრაქტიკა, რომლებიც სავალდებულოა სტუდენტებისთვის და ინტეგრირებულია პროგრამაში. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ასევე, დაათვალიერეს საკონსულტაციო ოთახი, სადაც სტუდენტები მუშაობენ სპეციალიზაციის (კრიმინალური, სამოქალაქო) მიხედვით, ეცნობიან კლიენტების პრობლემებს, უშუალოდ ურთიერთობენ მათთან და სრულად არიან ჩართულნი პროცესში. კლინიკის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ისინი სრულად ეხმარებიან სტუდენტებს ნებისმიერ საკითხში, თუმცა ასევე, ცდილობენ უზრუნველყონ, რომ სტუდენტებმა თავად მართონ კლიენტებთან კომუნიკაცია, რათა მათ შეძლონ კლიენტებთან ეფექტური კომუნიკაციის სწავლა და პროცესის სრულად წარმართვა. სტაჟირების დასრულების შემდეგ, სტუდენტები ფასდებიან სპეციალური ფორმით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. თითოეული სტუდენტი ფასდება ინდივიდუალურად თითოეულ კომპონენტში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებისთვის რეალური საქმეების გადაწყვეტასა და რეალურ კლიენტებთან კომუნიკაციის საშუალება ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი ძალიან მაღალია, რადგან სტუდენტების უმეტესობა სწავლას აგრძელებს

საერთაშორისო დონეზე და ასევე, მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებსა და კონკურსებში. დამსაქმებლებთან გასაუბრებების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე, ცოდნა და პრაქტიკული უნარები დამსაქმებლებისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელია და სავსებით აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები;
- სილაბუსები:
- https://freeuni.edu.ge/ge/students/master-students/ ;
- შეფასების ფორმა დამსაქმებლისთვის;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩვეები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ბაკალავრიატი)		
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, მაგისტრატურა)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	**შეფასება**
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია

პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;
- ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;
- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსით; ჩართულობას ▪ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას,

უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;

- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას;

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ბაკალავრიატი):

ამ პროგრამას არ ეხება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, მაგისტრატურა):

სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში განსაზღვრულია ქულების გადანაწილება, ზღვარი და ა.შ. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს იწყებს მე-4 სემესტრში. სამუშაო პროცესი დაყოფილია ეტაპებად და სტუდენტი ვალდებულია სემესტრის განმავლობაში დაასრულოს რამდენიმე სავალდებულო კომპონენტი:

თემისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია - გულისხმობს ნაშრომის თემის შერჩევას ხელმძღვანელთან კონსულტაციის შედეგად. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორი.

ნაშრომის რეზიუმეს პრეზენტაცია - ხელმძღვანელთან კონსულტაციით, სტუდენტი ამზადებს შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერას. აღწერა უნდა მოიცავდეს დისერტაციაში განსახილველი საკითხის/საკითხების, კვლევის ძირითადი მეთოდების, ჰიპოთეზებისა და მოსალოდნელი შედეგების აღწერას. თემისა და ხელმძღვანელის რეგისტრაციისთვის, სტუდენტი უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტით უკავშირდება პროგრამის კოორდინატორს და მიმოწერას უმატებს ხელმძღვანელის უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტის მისამართს. თემა და ხელმძღვანელი ითვლება რეგისტრირებულად მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელი თანხმობას გამოთქვამს კონკრეტული ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელობაზე. სტუდენტი ნაშრომის დარჩენილ კომპონენტებს (რეზიუმე, სტრუქტურა, საბოლოო ნამუშევარი) შესაბამის ვადებში უგზავნის პროგრამის კოორდინატორს, უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტით. სტუდენტი ვალდებულია მიმოწერას დაურთოს ხელმძღვანელის საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის მისამართი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა წინასწარ უნდა განიხილოს ნაშრომის ყველა კომპონენტი.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს ასევე დაისვა კითხვები სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, ხელმძღვანელთან კომუნიკაციისა და კმაყოფილების შესახებ და უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სტუდენტი ძალიან კმაყოფილია ხელმძღვანელთან მუშაობით. ხელმძღვანელის შეფასება შესაძლებელია ანონიმურად და ასევე, გამოკითხვების მეშვეობით. ამ გამოკითხვის შედეგები შემდგომი განხილვისთვის სრულად იგზავნება პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან, რომლებიც ერთდროულად აანალიზებენ გამოკითხვის შედეგებს.

მაგისტრანტების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)**[4]	
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	**20**
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	**199**
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	

[4] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	**0.10.**
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა;
- მაგისტრატურის დებულება;
- სამაგისტრო ნაშრომის დებულება;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა;
- https://freeuni.edu.ge/ge/about-us/?about-us=Documents ;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ბაკალავრიატი)		
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, მაგისტრატურა)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შეფასება**
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ბაკალავრიატი)	არ ეხება

პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებამ პროგრამის განხორცილებაში, არსებობის შემთხვევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;
- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს ადამიანური რესურსების პოლიტიკას, რაც აკადემიური პასუხისმგებლობების გარანტია. პროგრამებს (სამართლის საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა) ასწავლის აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი ექსპერტიზა, კვალიფიკაცია და აკადემიური გამოცდილება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მათ მუდმივ კავშირს სამართლის სფეროში მიმდინარე კვლევებთან. ეს ასევე დასტურდება პერსონალის რეზიუმეებით.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს მოსაზრებას, რომ სამართლის პროგრამაში პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით პროგრამის განმახორციელებლების მიერ დასახული მიზნების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიგნებით, სწავლებაში ჩართულია საკმარისი რაოდენობის მოწვეული ლექტორები, თუმცა მხოლოდ არჩევით კურსებში, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ მოწვეულ ლექტორებს შეუძლიათ „სრული განაკვეთით“ დასაქმებულ პერსონალთან ერთად თანა-სწავლება, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სათანადოდ იქნას განხილული ამის უპირატესობები და ნაკლოვანებები. ამ რჩევასთან ერთად, ექსპერტთა გუნდი აღნიშნავს, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელად, ძალიან ბევრი მოწვეული ლექტორია ჩართული. ამ მხრივ, მათი აკადემიური მიდგომა და სანდოობა უნდა იქნას შეფასებული. და ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მიზანშეწონილია, განხილული იქნას, საჭიროა თუ არა რომ ყველა „კლინიკურ“ მოდულში პასუხისმგებელი ლექტორი იყოს სრული განაკვეთით დასაქმებული აკადემიური პერსონალი? ამასთანავე, სასწავლო პროგრამებში, მოწვეული პერსონალის როლის შეფასებამ შესაძლოა შექმნას შესაძლებლობა, რომ უცხოელი პერსონალი ჩაერთოს სწავლებასა და კვლევაში.

უფრო მეტიც, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, აუცილებელია პერსონალის (მათ შორის მოწვეული პერსონალის) რეზიუმეების განხილვა, რათა ნათლად ჩანდეს, თუ რა კრიტერიუმებია საჭირო გარკვეულ აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად და როგორ სრულდება ეს კრიტერიუმები. მაგალითისთვის, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ

რეზიუმეებში მითითებული ინფორმაცია პუბლიკაციების შესახებ ყოველთვის არ იძლეოდა საშუალებას, რომ შეფასებული ეს პუბლიკაციები.
ასევე, ზოგიერთი რეზიუმედან არ ჩანს ფლობდნენ თუ არა ასისტენტ - პროფესორები ან ასოცირებული პროფესორები დოქტორის ხარისხს (და უნდა ფლობდნენ თუ არა). გამჭვირვალე შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აუცილებელია რეზიუმეებში მითითებული ინფორმაციის სტანდარტიზაცია, რომ შესაძლებელ გახდეს ინფორმაციის შედარება.

საშუალო და მოკლევადიან პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კვლევის ასისტენტებისა და პოსტდოქტორანტების სასწავლო პროგრამებში ჩაურთველობამ (თვითშეფასების ანგარიშების დანართების მიხედვით), შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პროგრამებსა და მათ სამეცნიერო განვითარებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული საკითხის განხილვას, საჭიროა თუ არა და როგორ უნდა შეფასდეს აღნიშნული საკითხი, და საჭიროების შემთხვევაში - როგორ უნდა განხორციელდეს.
ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, პროგრამების ხელმძღვანელების აკადემიურ ხარისხსა და კვალიფიკაციაში.
რაც შეეხება სამუშაო დატვირთვასა და აკადემიური საქმიანობებისთვის გამოყოფილ დროს (რაც ჩანს კვლევითი ინდექსიდან, რომელიც მოცემულია თვითშეფასების ანგარიშის დანართში საბაკალავრო პროგრამისთვის და განსაკუთრებით, სამაგისტრო პროგრამისთვის), პროგრამების განხორციელების გარდა (მათ შორის ნაშრომების ხელმძღვანელობის ჩათვლით), ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობაზე, რაც დაბალანსებულია მხოლოდ მოწვეული პერსონალის ჩართულობის წყალობით. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფი კვლავ აღნიშნავს, რომ მოწვეული პერსონალის რაოდენობა აღემატება პროგრამების ძირითადი პერსონალის რაოდენობას.

ინდივიდუალური შეფასება -

რადგან სასწავლო პროგრამებისთვის მოცემული რჩევა და რეკომენდაცია ვრცელდება ორივე სასწავლო პროგრამაზე, ექსპერტთა გუნდი ინდივიდუალურ შეფასებას - წინა აბზაცებში ნახსენები ჩამონათვალის გარდა - არ იძლევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის სამართალი, მაგისტრატურა)

პროგრამა 2 (ბიზნესის სამართალი, მაგისტრატურა)[5]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[6]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	22			
- პროფესორი	3			
- ასოცირებული პროფესორი	2			
- ასისტენტ–პროფესორი	2			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	15			–
სამეცნიერო პერსონალი				–
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით				

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამართალი, ბაკალავრიატი)

პროგრამა 1 (სამართალი, ბაკალავრიატი)[7]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით [8]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	27			

[5] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

[6] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

[7] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

[8] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

- პროფესორი	7			
- ასოცირებული პროფესორი	14			
- ასისტენტ–პროფესორი	6			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	50			_
სამეცნიერო პერსონალი				_
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით				

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიშის დანართები (1)
- რეზიუმეები
- აკადემიური პერსონალის ნუსხა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	- რეკომენდებულია, პერსონალის წევრთა რეზიუმეების ჰარმონიზაცია, გამჭვირვალობისა და მათი შედარებადობის მიზნით, ასევე, რეკომენდებულია, რომ რეზიუმეები (CV) ადამიანური რესურსების პოლიტიკის ღირებულ ინსტრუმენტად გარდაიქმნას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გადამოწმდეს CV-ები, კონკრეტული აკადემიური თანამდებობების დაკავებისა და შენარჩუნების მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.	- სასურველია, შეფასდეს პერსონალის შემადგენლობა და საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდეს და განხორციელდეს პოლიტიკა უკეთ დაბალანსების მიზნით განსაკუთრებით, მოწვეული პერსონალის როლის, ასისტენტებისა და პოსტდოქტორანტების პოზიციის გათვალისწინებით.
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ბაკალავრიატი)	-	-
პროგრამა 2 (ბიზნესისსამართლის	-	-

სამაგისტრო პროგრამამაგისტრატურა)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა,)	მეტწილად შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა),	მეტწილად შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო- კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ - ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი

კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);

- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის განმარტებით, თვითშეფასების ანგარიშიდანაც ვლინდება, რომ მაგისტრანტის ხელმძღვანელობა გულისხმობს მნიშვნელოვან შინაარსობრივ და ორგანიზაციულ წინამძღოლობას. სამართლის მაგისტრანტებისა და ხელმძღვანელების რაოდენობის თანაფარდობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა შესაძლებელია გახდეს გამოწვევა. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, გაკონტროლდეს თუ რამდენ სტუდენტს უწევს ხელმძღვანელობას ერთი აკადემიური პერსონალი და ამ ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი.

სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელების უდავო კომპეტენციისა და მაღალი ხარისხის მიუხედავად, აკადემიური თავისუფლების პრინციპების მიღმა, ექსპერტთა ჯგუფისთვის გაურკვეველია, არსებობს თუ არა გარკვეული სტანდარტები/ სახელმძღვანელო მითითებები, რაც უზრუნველყოფენ ნაშრომის ხელმძღვანელობის საერთო არსებით ხარისხს. გარდა ამისა, რეზიუმეებთან დაკავშირებით გაკეთებული წინა შენიშვნის შესაბამისად, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელის პროფესიული გამოცდილება სამაგისტრო თემატიკას და რამდენად აქვს ხელმძღვანელს კვლევის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფის განცხადებით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელების უმეტესობა უსდ-ში მოწვეული პერსონალია.

ინდივიდუალური შეფასება -

რადგან შესაფასებლად წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამა, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ზემოხსენებულს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

პროგრამა 1 (ბიზნეს სამართალი, მაგისტრატურა)[9]			
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით[10]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	20		
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით			

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის ნუსხა
- თვითშეფასების ანგარიშის (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა) დანართი 1
- ბიზნესის სამართლის პროგრამის პერსონალის რეზიუმეები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)

[9] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[10] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	-	-
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	-	-
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა, მაგისტრატურა)		სასურველია, მკაცრად გაკონტროლდეს ხელმძღვანელებისა და სტუდენტების თანაფარდობა და შეფასდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ხარისხი.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	-
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართალის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამის პერსონალის შეფასებასა და შეფასების შედეგების ანალიზს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კლასტერის დონეზე, პროგრამები შეესაბამება 4.3 სტანდარტის მოთხოვნებს. უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების სტრუქტურირებული ჩარჩო. სისტემა კომპლექსურია და მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს. ამ მხრივ, თვითშეფასების ანგარიში საკმაოდ ზოგადია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფისთვის რთულია პროფესიული განვითარების ღონისძიებების რეალური გავლენის შეფასება.

მნიშვნელოვანია, პროგრამის პერსონალის ყოველწლიური შეფასება, რომელიც მოიცავს პედაგოგიურ უნარებს, სასწავლო კურსის მართვასა და კვლევით საქმიანობას. კვლევა ფასდება რვა კრიტერიუმის საფუძველზე.

ადმინისტრაციული შეფასების გარდა, შეფასების მნიშვნელოვანი წყაროა - სტუდენტთა უკუკავშირიც.

კვლევითი და პროფესიული საქმიანობა ფასდება ორკომპონენტიანი სისტემით, ხოლო პედაგოგიური უნარებისა და საგნის მართვის შეფასებისთვის, გამოიყენება უფრო დეტალური სკალა.

შეფასების დაბალ შედეგებზე, უსდ-ს მხრიდან ხდება შემდგომი რეაგირება. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, მეტად საყურადღებოა შეფასების შედეგების გავლენის შეფასება, პროგრამის განხორციელებისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

პროფესიული/სამეცნიერო განვითარების მიმართულებით დანერგილია მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმი (მოქნილი სამუშაო დატვირთვა, კვლევითი საქმიანობის ან მობილობის პერიოდში ხელფასის შენარჩუნების შესაძლებლობა, ასევე, პუბლიკაციების, კონფერენციებისა და კვლევითი პროექტების დაფინანსება ხელმისაწვდომია, როგორც შიდა რესურსების, ასევე, „ცოდნის ფონდის“ მეშვეობით.)

პედაგოგიური მიმართულებით, ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აკადემიური პერსონალისთვის „საორიენტაციო შეხვედრების“ ჩატარებას, რათა ისინი სრულად ინტეგრირდნენ აკადემიურ პროცესებში. გარდა ამისა, მათთვის ტარდება ტრენინგები და კონსულტაციები. აღნიშნული მიდგომა არის როგორც პრაქტიკული, ისე რეაქტიული და მიზნად ისახავს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, ინტერნაციონალიზაციის ინტეგრირება პროფესიული განვითარების სტრატეგიაში.

ასევე, თვითშეფასების ანგარიშში უკეთ უნდა იყოს წარმოჩენილი თუ როგორ უკავშირდება პროფესიული განვითარების აქტივობები ინსტიტუციურ პრიორიტეტებს და ინდივიდუალურ კარიერულ წინასვლას.

მიუხედავად იმისა, კვლევისთვის გამოყოფილია ძლიერი ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერა, თვითშეფასების ანგარიში არ არის მოცემული ინფორმაცია ამ მხარდაჭერის შედეგების შესახებ (განსაკუთრებით კვლევითი პროდუქტიულობის მიმართულებით). ასევე,

გაურკვეველია, როგორ უკავშირდება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ინიციატივების შედეგები ხარისხის გაუმჯობესების ზოგად ციკლს. იგივე ეხება, შეფასების შედეგებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების კავშირს კარიერული განვითარების პროცესთან.

ინდივიდუალური შეფასება – კლასტერის შეფასება იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას პროგრამებთან მიმართებითაც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამართალი, ბაკალავრიატი)
აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის სამართალი, მაგისტრატურა)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიში
- თთუ - ის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში – ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში
- თთუ - ის გაზაფხულის კვლევის ანგარიში

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები		სასურველია, ინტერნაციონალიზაცია ინტეგრირდეს პროფესიული განვითარების სტრატეგიაში.
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრა)	-	-
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	-	-

შეფასება

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შეფასება**
პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროსთვის შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობით.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აღჭურვილია საჭირო კვლევითი და მხატვრულ-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტებისთვის ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და ა.შ.), რომლებიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად;
- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზები, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე ნებისმიერი სხვა ადგილიდან, რაც მათ საშუალებას აძლევს, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ შესაბამისი კვლევითი დარგის სამეცნიერო რესურსებს;
- სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად, უსდ ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას როგორც დაწესებულების შიგნით, ასევე მის გარეთ არსებულ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/ შემოქმედებითი კვლევის ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

ადგილზე ვიზიტისას, ექსპერტებმა შეაფასეს ინფრასტრუქტურა და გაეცნენ უსდ - ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. შესწავლილი მასალებისა და ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კლასტერში დაჯგუფებული როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობისა და

ხარისხის ინფრასტრუქტურით - საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, რაც აუცილებელია პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად.

სამართლის პროგრამები ხორციელდება „კახა ბენდუქიძის კამპუსში". კამპუსი აღჭურვილია მაღალი დონის ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც აკმაყოფილებს თანამედროვე აკადემიურ მოთხოვნებს. იგი მოიცავს კომფორტულ, თანამედროვე, სხვადასხვა ზომის აუდიტორიებსა და სასწავლო სივრცეებს, მათ შორის კომპიუტერულ კლასებს, ამფითეატრებს, საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზებს, სამეცნიერო და სასწავლო ლაბორატორიებს, სტუდიებს, ბიბლიოთეკას, მუზეუმსა და საგამოცდო ცენტრს. საგამოცდო ცენტრისთვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე, რომელიც აღჭურვილია 200 კომპიუტერითა და გამოცდების ჩასატარებლად საჭირო ინფრასტრუქტურით. კამპუსში ასევე ფუნქციონირებს მაღალი სტანდარტის იურიდიული კლინიკა და ხელმისაწვდომია რეკრეაციული სივრცეები, დენდროლოგიური პარკი, შიდა ეზოები, ღია ამფითეატრი, სპორტული ობიექტები და კაფეტერია. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის სკოლას არ აქვს ცალკე იმიტირებული სასამართლოს დარბაზი, მისი აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და საკმარისად ფართოა იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩასატარებლად.

კამპუსი უზრუნველყოფილია შესაბამისი საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით, მათ შორის ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, პროექტორებითა და სერვერებით. უსადენო ინტერნეტი ხელმისაწვდომია მთელ კამპუსში და სტუდენტებისა და პერსონალისთვის უზრუნველყოფს უწყვეტ წვდომას. არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა მხარს უჭერს უნივერსიტეტში მიმდინარე სხვადასხვა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცესს და ხელს უწყობს მათ ეფექტიან განხორციელებას.

უსდ- ის ბიბლიოთეკა სათანადოდ არის აღჭურვილი მაგიდებით, სკამებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსებით, მათ შორის ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით, ქსეროქსით, სკანერითა და შეუზღუდავი ინტერნეტწვდომით.

უსდ - ს შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობისა და რესურსების განვითარების წესები. აღნიშნული წესები განსაზღვრავენ ბიბლიოთეკით სარგებლობის პროცედურებს, აგრეთვე, ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განახლებისა და განვითარების მექანიზმებს. ბიბლიოთეკის ფონდი, მათ შორის წიგნები და ელექტრონული რესურსები, შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურას და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის აუცილებელ სასწავლო მასალებზე წვდომას როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ფორმატში. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია მოქმედი საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად.

უსდ უზრუნველყოფს წვდომას ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, მათ შორის ისეთ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, როგორიცაა ScienceDirect, Scopus და HeinOnline.

ნორმატიულ აქტებზე წვდომა ასევე უზრუნველყოფილია Legislative Herald of Georgia-ის მეშვეობით. არსებული გამოყენების სტატისტიკა მიუთითებს სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების ნორმალურ და დამაკმაყოფილებელ საერთო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა რაოდენობა განსხვავდება ბაზებისა და საანგარიშო პერიოდების მიხედვით, საერთო ჩართულობის დონე შეიძლება შეფასდეს როგორც ადეკვატური. ამჟამად, სტუდენტებსა და პერსონალს აღნიშნულ ბაზებზე წვდომა აქვთ როგორც კამპუსიდან, ისე დისტანციურად.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან მათთვის ხელმისაწვდომი საბიბლიოთეკო რესურსების თაობაზე. მატერიალური, საინფორმაციო, ციფრული და საბიბლიოთეკო რესურსები ღიადაა ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და პერსონალისათვის. უსდ, სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, მუდმივად აახლებს და აუმჯობესებს საკუთარ რესურსებსა და სერვისებს.

უნივერსიტეტის ვებსაიტი ორენოვანია და ფუნქციონირებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. იგი მოიცავს ინფორმაციას უსდ - ს საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების, მისიის, სტრატეგიული დოკუმენტების, მარეგულირებელი ჩარჩოს, მიმდინარე აქტივობების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

შესაბამისად, უსდ-ში არსებული მატერიალური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ციფრული რესურსები ხელს უწყობს კლასტერში გაერთიანებული ორივე პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- ბიბლიოთეკის წესები და რეგულაციები
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებთან და შესაბამის დოკუმენტებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები	არ ეხება	არ ეხება
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	არ ეხება	არ ეხება
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსები	შეფასება
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერი აკმაყოფილებს 4.5 სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულება აქვს ფინანსური სტაბილურობა და გამოყოფს საკმარის ფინანსურ რესურსებს ორივე პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის.

ბიუჯეტის დაგეგმვა სისტემურია და დაკავშირებულია დაწესებულების სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. ფინანსური რესურსები მოიცავს სწავლება-სწავლის აქტივობებს, აკადემიური პერსონალის ხელფასებს, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, ბიბლიოთეკისა და ელექტრონული რესურსების, ადმინისტრაციული მომსახურებისა და პროგრამების განვითარების მხარდაჭერას.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს მდგრადი ფინანსური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და გრძელვადიან სტაბილურობას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ბაკალავრიატი)

სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები საკმარისია პროგრამის მიზნების მისაღწევად.

ბიუჯეტი მხარს უჭერს პროგრამის განხორციელებას კვალიფიციური აკადემიური პერსონალის, სასწავლო ობიექტების, ბიბლიოთეკის რესურსების მეშვეობითა და ადმინისტრაციული მხარდაჭერით. ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა ასევე ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობას და ინსტიტუციური რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური მხარდაჭერა საკმარისია პროგრამის ხარისხის შესანარჩუნებლად და მისი უწყვეტი განვითარების მხარდასაჭერად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა) ,

უსდ მხარს უჭერს ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამას ადეკვატური ფინანსური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურ მხარდაჭერას, მათ შორის სპეციალიზებულ სასწავლო რესურსებს, იურიდიულ მონაცემთა ბაზებზე წვდომას, კვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამა სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე მცირე მასშტაბისაა, გამოყოფილი ფინანსური რესურსები საკმარისია მდგრადობისა და განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტთა ჯგუფის განმარტებით, პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი
- 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	**არ ეხება**	**არ ეხება**
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	**არ ეხება**	**არ ეხება**

შეფასება

კომპონენტი **4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა.**	**შეფასება**
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	**შესაბამისობაშია**
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	**შესაბამისობაშია**

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;

სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის მხარე (დოქტორანტი, ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა).**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერი შეესაბამება 5.1 სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც მხარს უჭერს პროგრამის ხარისხის უწყვეტ შეფასებასა და გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული რეგულაციების საფუძველზე და კოორდინირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიურ და ადმინისტრაციულ ერთეულებთან თანამშრომლობით. ხარისხის სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიანობის რეგულარულ შეფასებას და ხელს უწყობს გასაუმჯობესებელი მიმართულებების გამოვლენას.

დაწესებულება რეგულარულად აგროვებს რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, მათ შორისაა: სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების შეფასება, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, დამსაქმებელთა უკუკავშირი, აკადემიური პერსონალის შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ - ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები მონაწილეობენ შეფასების პროცესებში გამოკითხვების, კონსულტაციებისა და უკუკავშირის მექანიზმების საშუალებით. მათი მოსაზრებები ანალიზდება და გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.

დაწესებულება ხელმძღვანელობს უწყვეტი გაუმჯობესების მიდგომით. შეფასების შედეგები განიხილება როგორც პროგრამის, ისე ინსტიტუციურ დონეზე, ხოლო გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე ხორციელდება გაუმჯობესების ღონისძიებები.

თვითშეფასების პროცესი ადასტურებს, რომ დაწესებულება ატარებს რეფლექსულ ანალიზს და იღებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს ხარისხის გაუმჯობესებისადმი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმები არის სისტემური, ეფექტური და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რომლისთვისაც გაიცა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვა და გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- კითხვარის ფორმები
- სემესტრის გამოკითხვის შედეგების ანგარიში

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩვეები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	**არ ეხება**	**არ ეხება**
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	**არ ეხება**	**არ ეხება**

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	**შესაბამისობაშია**
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	**შესაბამისობაშია**

5.2. გარე ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერი აკმაყოფილებს 5.2 სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულება აქტიურად მონაწილეობს გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და ეფექტიანად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამების გაუმჯობესებისთვის.

გარე ხარისხის შეფასება ინტეგრირებულია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის საერთო სისტემაში და წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს ეროვნული სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების მხარდაჭერისათვის.

დოკუმენტების მიხედვით, რომ პროგრამებმა წარმატებით გაიარეს გარე აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცედურები. წინა გარე შეფასებების დროს მიღებული რეკომენდაციები და კომენტარები გათვალისწინებულ იქნა და ასახულია პროგრამების გაუმჯობესების აქტივობებში.

დაწესებულება მზადაა გარე შეფასების პროცესისთვის სისტემური დოკუმენტირების, მტკიცებულებების შეგროვებისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის რეგულარული მონიტორინგისთვის.

გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამართლის სფეროს პროფესიონალებთან, დამსაქმებლებთან და გარე ექსპერტებთან თანამშრომლობა ასევე აძლიერებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს. მათი ჩართულობა ხელს უწყობს პროგრამების აქტუალობასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გარე შეფასებას დაწესებულება განიხილავს არა მხოლოდ როგორც ფორმალურ მოთხოვნას, არამედ როგორც პროგრამების განვითარებისა და გაუმჯობესების ინსტრუმენტს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფექტიანად არის ინტეგრირებული ინსტიტუციურ პრაქტიკაში და დადებითად აისახება პროგრამების ხარისხსა და მდგრადობაზე.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რომლისთვისაც გაიცა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები
- გარე ექსპერტების შეფასებები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩვეები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	**არ ეხება**	**არ ეხება**
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	**არ ეხება**	**არ ეხება**

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 5.2. გარე ხარისხის შეფასება	შეფასება
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერი სრულად შეესაბამება 5.3 სტანდარტის მოთხოვნებს.

დაწესებულებას აქვს პროგრამების უწყვეტი მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის სისტემური პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობას, ეფექტიანობასა და აკადემიურ, პროფესიულ და საზოგადოებრივ საჭიროებებთან შესაბამისობას.

მონიტორინგი ხორციელდება აკადემიური და ოპერაციული მონაცემების რეგულარული შეგროვებისა და ანალიზის გზით, მათ შორისაა:

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრება;
- კურსების დასრულებისა და პროგრესიის მაჩვენებლები;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვები;
- კურსდამთავრებულთა უკუკავშირი;
- დამსაქმებელთა შეფასებები;
- აკადემიური პერსონალის უკუკავშირი.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად დაწესებულება იყენებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ მეთოდებს. პირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტთა შესრულებისა და მოსწრების მონაცემების ანალიზს, ხოლო არაპირდაპირი შეფასება ეფუძნება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირსა და გამოკითხვის შედეგებს.

პროგრამების პერიოდული გადახედვა ხორციელდება პროგრამის კომიტეტებსა და შესაბამის აკადემიურ ორგანოებში განხილვების გზით. ეს გადახედვები მოიცავს პროგრამის სტრუქტურის, სასწავლო გეგმის რელევანტურობის, სწავლების მეთოდების, შეფასების პრაქტიკისა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის ანალიზს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამების გადახედვის პროცესში.

აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და გარე ექსპერტები მონაწილეობენ განხილვებში და წარადგენენ რეკომენდაციებს პროგრამის განვითარებისათვის.

მონიტორინგისა და გადახედვის შედეგების საფუძველზე იგეგმება შემდგომი გაუმჯობესების აქტივობები, მათ შორის: სასწავლო გეგმის განახლება, სწავლის შედეგების დახვეწა, სწავლების მეთოდების და სასწავლო რესურსების გაუმჯობესება.

მტკიცებულებები აჩვენებს, რომ პროგრამის გადახედვა არის უწყვეტი, სისტემური და ორიენტირებული რეალურ გაუმჯობესებაზე და არა მხოლოდ ფორმალურ პროცესზე.

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის მექანიზმები არის ყოვლისმომცველი, ეფექტიანად დანერგილი და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას მთელ კლასტერში.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ დოქტორანტურის

საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რომლისთვისაც გაიცა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვა და გეგმა
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის ანგარიშები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- სემესტრული გამოკითხვის შედეგების ანგარიში
- პროგრამის მონიტორინგის ანგარიშები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩვეები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	**არ ეხება**	**არ ეხება**
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	**არ ეხება**	**არ ეხება**

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასებაw	**შეფასება**
პროგრამა 1 - (სამართლის საბაკალავრო პროგრამა)	**შესაბამისობაშია**
პროგრამა 2 - (ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა)	**შესაბამისობაშია**